№ 3. წელიწადი პირველი.

ფასი ცალისა 15 კაპ.

# დროშა



## ძირს ჩადრი!

ოთხ სურათზე—ჩადრ-ახდილი აჭარელი ქალები

ქვევით — მარცხნივ და მარჯვნივ — ქალ-ორგანიზატორები ქობულეთის და ხულოს მაზრიდან.



ამხ. **ანდრე მარტი,** რომელმაც არჩევნების დროს პიუტოში (საფრანგეთი) დაამარცხა რეაქციონერების კანდიდატი გოტერო და მენშევიკების კანდიდატი ტორესი და არჩეულ იქნა დეპუტატათ. ამჟამად დაპატიმრებულია ანტი-მილიტარისტული პროპაგანდისათვის. ამხ. ა. მარტი მუშაა, მსახურობდა ფლოტში. მან აჯანყება მოაწყო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ შავზღვაზე გაგზავნილ საფრანგეთის ესკადრაში, რისთვისაც 20 წ. ციხე მიუსაჯეს, მაგრამ 5 წლის შემდეგ მასების ზეგავლენით იძულებული შეიქნენ გაენთავისუფლებიათ.







**კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლიუქსემბურგის მკვლელები.** 15 იანვარს 10 წელი შესრულდა გერმანიის მუშათა კლასის ბელადების კარლ ლიბკნეხტისა და რ. ლიუქსემბურგის ვერაგულად მოკვლიდან. სურათზე ზევით ისრით ნაჩვენებია ობერლეიტენანტი **ფოგელი** (ისვე არის სურათზე დაბლა მარცხნივ), როზა ლიუქსემბურგის მკვლელი; ზევით სურათზე X-ით აღნიშნულია ჯარისკაცი **რუნგე,** რომელმაც თოფის კონდახი დაჰკრა თავში კ. ლიბკნეხტსა და რ. ლიუქსემბურგს. ქვევით, მარჯვნივ — კაპიტანი **პფლუგ-გარტუნგი** კარლ ლიბკნეხტის მკვლელი.



**ალფრედ ედმუნდ ბრემი,** ცნობილი ბიოლოგი და მოგზაური, რომლის დაბადების 100 წ. შესრულდა მიმდინარე წელს. მის კალამს ეკუთვნის მრავალტომიანი „ცხოველთა ცხოვრება" და მრავალი სხვა შრომები.



**ფრანც მერინგი** გერმანის კომუნისტების ერთი ბელადთაგანი, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე და პუბლიცისტი. რ. ლიუქსემბურგთან, კლ. ცეტკინთან და სხვ. ერთად მონაწილეობას იღებდა ჟურნალი ინტერნაციონალი"-ს გამოცემაში და სპარტაკელთა კავშირის მოწყობაში. გარდაიცვალა. ჩქარა სპარტაკელთა აჯანყების ჩაქრობის შემდეგ 1919 წ. იანვარში. 100 წ. შესრულდა გარაცვალებიდან.



**ხიდაიატულა,** ამანულა-ხანის უფროსი შვილი, რომელიც ამჟამად ბერლინში იმყოფება და საბჭ. კავშირში აპირებს გამგზავრებას.



სენატორი **ბ ლ ე ნ ი,** რომელმაც შეერთებული შტატების სენატში ხმა მისცა კელოგის პაქტის რატიფიკაციის წინააღმდეგ.



ჩან-კაი-შის ცოლი, რომელიც დაინიშნა ჩინეთის ერთ-ერთი ოლქის მმართველად.







**ბერლინის პოლიცმეისტერი მენშევიკი ცერგიბელი** მუშათა დემონსტრაციების დარბევისაგან თავისუფალ დროს, როგორც სურათზე დაინახავს მკითხველი, ქეიფში ატარებს: სადღეგრძელოს სვამს კაპიტალისტური პრესის საზეიმო სალამოზე.

საფრანგეთის მიერ ძალით შემოერთებული ელზასი ენერგიულად ებრძვის „დედა საფრანგეთის" ცენტრალისტურ ტენდენციებს. ელზასში დღითი დღე ფართოვდება ავტონომისტური მოძრაობა. ავტონომისტებს სდევნიან აპატიმრებენ. ეს იწვევს ტერორისტული აქტებს საფრანგეთის მოხელეების მიმართ. სურათზე —პროკურორი **ფ ა შ ო,** რომელიც ბრალმდებლად გამოდიოდა ავტონომისტების პროცესზე და სასამართლოდან გამოსვლის დროს დაჭრილ იქნა ელზასელ ავტონომისტის მიერ.



ფრანგი მცურავი - ქალი **ლოტი შემველ,** რომელიც ყინვებს არ უშინდება და ბანაობს. სურათზე გამოხატულია, თუ როგორ ებრძვის ის ყინულს და იკაფავს გზას.



**ვილჰელმ ჰოგენცოლერნი,** გერმანიის ყოფილი მეფე, რომელმაც გერმანელ მონარქისტების თანადასწრებით იდღესასწაულა ქ. დოორნში (ჰოლლანდია) თავისი დაბადების 70 წლისთავი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 3. 1929 წ. 15 თებერვალი

# ა. გრიბოედოვი საქართველოში

## (გარდაცვალებიდან 100 წ. შესრულების გამო)

### ნ. ენიკოლოპოვი

ასი წელი გვაშორებს იმ დროიდან, რაც ა. ს. გრიბოედოვი მოჰკლეს თეირანში.

გრიბოედოვის მოღვაწეობის შეფასების დროს ჩვეულებრივად მხედველობაში არ იღებენ მის წვრილმან თხზულებებს და მთელ მის დანარჩენ მოღვაწეობას. ყოველივე ეს ნაკლებ საინტერესოდ მიაჩნდათ გრიბოედოვის ისეთ უკვდავ ნაწარმოებთან შედარებით, როგორიც არის „ვაი ჭკუისაგან“, რომელსაც პუშკინი უწოდებდა უძვირფასეს ლიტერატურულ განძს. ამიტომ არ არსებობს ცოტად თუ ბევრად სრული მიმოხილვა გრიბოედოვის იმ მოღვაწეობისა, რომელსაც იგი ეწეოდა საქართველოში და სპარსეთში ყოფნის დროს, სადაც მან თავისი სიცოცხლის საუკეთესო წლები გაატარა. ერთგვარ გამონაკლისს შეადგენენ ა. ბერჟეს, დ. გ. ერისთავის და სხვათა ცნობები, მაგრამ აღნიშნულმა პირებმაც მხოლოდ წმინდა ეპიზოდური ხასიათის ცნობები დაგვიტოვეს, თუმცა ა. ბერჟეს, როგორც კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის რედაქტორს, საშუალება ჰქონდა უშუალოდ გასცნობოდა გრიბოედოვის მოღვაწეობას კავკასიაში.

ამავე დროს კი, თუ ზერელედ მაინც გავეცნობით იმ დოკუმენტებს, რომლებიც უშუალოდ შედგენილია გრიბოედოვის მიერ, ან მისი ხელმძღვანელობით, ჩვენთვის აშკარა გახდება ის უდიდესი მუშაობა, რომელსაც ეწეოდა იგი კავკასიაში და რომელიც უმეტეს ნაწილად ჯერ კიდევ უცნობია.

საქართველოში გრიბოედოვი პირველად ჩამოვიდა 1818 წლის ოქტომბერში. მაშინ ის მხოლოდ გავლით იყო აქ: მიემგზავრებოდა სპარსეთში, სადაც დანიშნული იყო მისიის მდივნად. საქართველომ მასზე წარუხოცელი შთაბეჭდილება დასტოვა. მაშინ გრიბოედოვი კიდევ მისდევდა პეტერბურგელი ახალგაზრდა დიდკაცის ჩვეულებებს, დროს უმეტეს ნაწილად ატარებდა ასეთივე ახალგაზრდების წრეში. თავის მეგობრებს აქედან სწერდა: „ჩემი დრო სავსებით უნდება სამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს: დუელს, ბანქოს და ავადმყოფობასო“.

აქ გრიბოედოვი გაკვრით ეხება იმ დუელს, რომელიც მას ჰქონდა მომავალ დეკაბრისტ ოფიცერ იაკუბოვიჩთან. ეს დუელი ორივესთვის შედარებით უვნებლად დამთავრდა.

1819 წლის თებერვალში გრიბოედოვი გაემგზავრა თავრიზში, სადაც მაშინ იმყოფებოდნენ სპარსეთის კართან წარგზავნილი უცხოელთა მისიები. ფიქრობენ, რომ გრიბოედოვმა პირველად თავრიზში მოიფიქრა თავისი გენიალური კომედია „ვაი ჭკუისაგან“.

გრიბოედოვს არ მოსწონდა თავრიზში სამსახური. მას მალე მიეცა თბილისში ჩამოსვლის საშუალება, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა. აქ ის გენერალმა ერმოლოვმა დაიტოვა უცხოეთის საქმეთა მდივნად. მისი თბილისში ყოფნის ეს პერიოდი (1821 წლის ნოემბრიდან 1823 წლ. მარტამდე) კარგად არის გაშუქებული მურავიოვის ნაწერებისა და კიუხელბეკერის დღიურის ძეგლებით. მურავიოვიც და კიუხელბეკერიც გრიბოედოვის მეგობრები იყვნენ.

თავის დღიურში კიუხელბეკერი (შემდეგში დეკაბრისტი) ადასტურებს, რომ გრიბოედოვმა სწორედ თბილისში დასწერა თავისი კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ უმთავრესი ნაწილი.

მთავარმართებელის დიპლომატიურ კანცელარიაში მუშაობის დროს გრიბოედოვი პირველად გაეცნო დაახლოვებით კავკასიის თავისებურ პირობებს, მის ისტორიას და შეისწავლა მაშინდელი მდგომარეობა. თავისი ცნობისმოყვარეობის გამო ის მალე გაეცნო საქმეს, მით უმეტეს, რომ ხელმძღვანელებად ჰყავდა მხარისა და საქმის ისეთი მცოდნენი, როგორც ერეკლე მეორეს ყოფილი დიპლომატი მირზა აბრიამ ენიკოლოფოვი, ძმები თუმანოვები, ისტორიკოსი აბას-კული ბაკიხანოვი და სხვები. ამ დროს მთავარმართებელის კანცელარიამ გამოჰყო განსაკუთრებული კომისია, რომელიც ასრულებდა სამეცნიერო საქმეს—ვახტანგ მეფის კანონთა კრებულის რუსულ ენაზე გადათარგმნას.

თავისუფალ დროს გრიბოედოვი უმეტეს ნაწილად ატარებდა ახვერდოვების ოჯახში, სადაც იზრდებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის უფროსი ქალიშვილი ნინო, რომელიც მაშინ 10 წლის იყო. გრიბოედოვმა ინახულა აგრეთვე ჭავჭავაძის მამული—სოფ. წინანდალი, რომელმაც საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა მასზე. სწორედ ამ შთაბეჭდილების შედეგს წარმოადგენს მისი ლექსი: „Там, где вьется Алазань“.

1823 წელს გრიბოედოვმა მიიღო შვებულება და გაემგზავრა მოსკოვსა და პეტერბურგს.

გრიბოედოვი ფიქრობდა, რომ რუსეთში დარჩებოდა ოთხ თვეს, მაგრამ მეტ ხანს მოუხდა დარჩენა. შემდეგ იგი, სასოწარკვეთილი იმის გამო, რომ ცენზურამ ნება არ დართო დაედგათ კომედია „ვაი ჭკუისაგან“, დაბრუნდა კავკასიაში, სადაც შეუერთდა გენერალ ერმოლოვის რაზმს, რომელიც მთიელებს „ამშვიდებდა“. რამდენიმე ხნის შემდეგ გრიბოედოვი დააპატიმრეს და საეტაპო წესით გაგზავნეს პეტერბურგში. მთავრობამ იცოდა, რომ გრიბოედოვი თანაუგრძნობდა დეკაბრისტებს და ამიტომ ამ მოძრაობის ჩაქრობის შემდეგ შეუდგა ჩვეულებრივ რეპრესიებს. გრიბოედოვი დააპატიმრეს გროზნოს სიმაგრეში. წინასწარ ის გაჩხრიკეს, რის შესახებაც შედგენილ იქნა აქტი. გრიბოედოვის ქონების ნუსხაში, სხვათაშორის, აღნიშნული იყო წიგნი: „საქართველოს და კავკასიის ეოგრაფიული და სტატისტიკური აღწერა“.

პეტერბურგში გრიბოედოვი რამდენიმე თვეს იყო დაპატიმრებული და იმყოფებოდა გამოძიების ქვეშ. მხოლოდ 1826 წლის მარტში გაანთავისუფლეს და წინადადება მისცეს გამგზავრებულიყო კავკასიაში. 1826 წლის აგვისტოს დამლევს გრიბოედოვი იყო თბილისშია. ამ დროს გაჩაღებული იყო ომი სპარსეთთან. გრიბოედოვი ისევ თავის ძველ თანამდებობაზე დაინიშნა.

როგორც კი მთავარმართებლად დაინიშნა გრიბოედოვის მახლობელი ნათესავი პასკევიჩი, გრიბოედოვმა სწრაფად მოიპოვა დიდი გავლენა. ოფიციალურად ის დაინიშნა დიპლომატიური კანცელარიის უფროსად, მაგრამ ვინაიდან პასკევიჩი უმეტეს ნაწილად ფრონტზე იყო, კავკასიის მთელი სამოქალაქო იმართველობის საქმე ფაქტიურად გრიბოედოვის ხელში გადავიდა. გრიბოედოვის პირველი ნაბიჯი იყო მიეცა მოსახლეობისათვის განსაზღვრული სამოსამართლო ფორმები, ვინაიდან მის დანიშვნამდე ყველაფერი დამოკიდებული იყო ბოქაულების თვითნებობაზე. შემდეგ კავკასიის ყოველმხრივ შესასწავლად გრიბოედოვი შეუდგა უდიდეს მუშაობას: ყოველგვარი სტატისტიკურ-ეტნოგრაფიული ცნობების შეკრებას, რისთვისაც სპეციალურად გამოიწერა პეტერბურგიდან სათანადოდ მომზადებულ მოხელეთა კადრი. ამ შრომის შედეგად გამოვიდა წიგნი კავკასიის შესახებ: „Обозрение российских владении за Кавказом в статистическом, этнографическом и финансовом отношениях“.



გრიბოედოვმა იმ ხანებში დაარსა გაზეთი „თბილისის უწყებები". რუსულ ტექსტთან ერთად ეს გაზეთი ამავე სახელწოდებით გამოდიოდა ქართულ და სპარსულ ენებზე. ქართულ განყოფილებას 1830 წლიდან განაგებდა ს. დოდაშვილი. გაზეთმა 1832 წლამდე იარსება.

იმავე ხანებში გრიბოედოვმა სახაზინო ექსპედიცი ს უფროს ზავილეისკისთან ერთად მთავარმართებლისაგან მიიღო დავალება შეედგინა რეფორმების ვრცელი პროექტი, რასაც ორივე მეგობარმა არაჩვეულებრივი ენერგიით მოჰკიდა ხელი.

ამავე დროს სპარსეთის ომი თანდათან ვითარდებოდა და საჭირო გახდა გრიბოედოვის წასვლა პასკევიჩის შტაბში. აქ ის ხელმძღვანელობდა პასკევიჩის დიპლომატიურ მოლაპარაკებას. მისი დიპლომატიური მოღვაწეობის წყალობით პასკევიჩმა მოიპოვა პირველი დიდი გამარჯვება აბას-აბადის ციხის აღების დროს. კარაიაძინში გრიბოედოვი პირადად აწარმოებდა მოლაპარაკებას სპარსეთის მთავრობასთან; დასასრულ დეიკარგანის მოლაპარაკების დროს, რომელიც მთელი ერთი თვე გაჭიანურდა—ხელმძღვანელ როლს გრიბოედოვი თამაშობდა. ამ მოლაპარაკების შემდეგ გრიბოედოვმა გადამწყვეტი როლი ითამაშა აგრეთვე თურქმენჩაის მოლაპარაკებაში, რომელიც ზავის დადებით დამთავრდა. ამიტომ გრიბოედოვი გაიგზავნა პეტერბურგში, სადაც უნდა მიეტანა ცნობა ამ ამბის შესახებ.

სპარსეთში ლაშქრობის დროს გრიბოედოვს წილად ხვდა განეცადა უდიდესი სიამოვნება—მან პირველად და უკანასკნელად იხილა სცენაზე თავისი კომედია „ვაი ჭკუისაგან". ერევნის აღების შემდეგ (1827 წლის 1 ოქტომბერს) ინტელიგენტმა ოფიცრებმა სახელდახელოდ თეატრად გადააკეთეს ერევნის სარდარების ძველი სასახლე და დასდგეს ამ კომედიის რამდენიმე აქტი.

პეტერბურგში, სადაც გრიბოედოვმა ჩაიტანა ცნობა თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ, მთავარი დამსახურება გრიბოედოვს მიაწერეს. ამიტომ, ახალგაზრდობის მიუხედავად, ის დაინიშნა რუსეთის ელჩად სპარსეთში. ეს თანამდებობა მან უხალისოდ მიიღო. მძიმე წინათგრძნობა აწუხებდა მას. 1828 წლის ივლისის დასაწყისში ის უკვე თბილისში იყო. ამ დროს ცოლად შეირთო ნინო ჭავჭავაძე.

ამავე დროს გრიბოედოვმა დაამთავრა თავისი „Записка об учреждении российской Закавказской компании"-ს დაარსების შესახებ და წარუდგინა იგი პასკევიჩს.

ამ მოხსენებაში იგი ეხება „ვაჭრობის გაფართოების" საკითხს, საინტერესოა მისი შეხედულება ბათომზე, რომელიც მაშინ წარმოადგენდა ლატაკ სოფელს, მის ნავთსადგურში მხოლოდ ფელუგები შედიოდნენ. „ბათომის ნავთსადგური,—სწერდა გრიბოედოვი,—თუ იგი ჩვენს საზღვრებში შემოვიდა, თავისი მდებარეობით უაღრესად სასარგებლო იქნებაო".

იმავე ხანებში გრიბოედოვმა დასწერა ტრაგედია „საქართველოს ღამე", რომელიც თავისი ლიტერატურული მნიშვნელობის გარდა, ნათლად ამტკიცებს, თუ როგორ უყურებდა გრიბოედოვი მაშინდელ ისეთ არანორმალურ მოვლენას, როგორიც იყო ბატონყმობა. გარდა ამისა ამ ნაწარმოებიდან და ტრაგედია „რადამისტ და ზენობია"-ს გეგმიდან სჩანს, რომ გრიბოედოვი შესანიშნავად იცნობდა საქართველოს და სომხეთის ისტორიულ წარსულს. მთელი ტრაგედია „საქართველოს ღამე" აღებულია ხალხური გადმოცემიდან. მოქმედება სწარმოებს საქართველოში. ტრაგედიაში დახასიათებულია ქართველთა ხასიათი და ჩვეულებები.

„რადამისტ და ზენობია"-ში მოხსენებულია „ვახტანგ მეფის კანონი", ხოლო თვით ფაბულა ახასიათებს საქართველოს და სომხეთის მდგომარეობას პირველ საუკუნეში „ქრისტეს დაბადების შემდეგ".



(სურათი ინახება საქართვ. ცენტროარქივში)

ხელისმოწერა თურქმენჩაის ხელშეკრულებაზე 1828 წ. 10 თებერვალს ×-ით აღნიშნულ სკამზე ზის

## ა. ს. გრიბოედოვი

ნ. ენიკოლოპოვი.

# ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტი

## პროფ. ს. ვირსალაძე

სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის ტროპიკული დაწესებულებანი საქართველოში არის ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტი თბილისში და ცხრა ტროპიკული სადგური მაზრებში, სახელდობრ: ზუგდიდში, სენაკში, ფოთში, ოზურგეთში, სამტრედიაში, გორში, თელავში, სოფ.



ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი ს შ ე ნ ო ბ ა

ყარსუბანში (ალაზნის გაღმა) და სოფ. სანდარაში (ბორჩ. მაზრა). ს. ჯ. კ. ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტი მოწყობილია იმავე გეგმით, როგორც მსგავსი დაწესებულებანი ევროპაში. ინსტიტუტის ძირითადი ამოცანებია: საქართველოს ტროპიკული პათალოგიის და თვით ქვეყნის შესწავლა ტროპიკული მედიცინის თვალსაზრისით; საექიმო პერსონალის მომზადება ამ დარგში; ტროპიკულ სნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის მეცნიერულ და პრაქტიკული გეგმის შემუშავება და საზოგადოდ მეცნიერული ხელმძღვანელობა ტროპიკულ სნეულებათა წინააღმდეგ სახელმ იფოებრივი და საზოგადოებრივი ზომების განხორციელების დროს და ადგილობ-



ცდები ზღვის გოჭზე ინსტიტუტის ლაბორატორიაში

რივი ტროპიკულ სადგურების ხელმძღვანელობა.

ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის დაარსებას ჩვენში აქვს თავისი ისტორია. ჯერ მსოფლიო ომის დაწყებამდე საექიმო პრესაში და სამეცნიერო ყრილობაზე არა ერთხელ გამოთქმულა აზრი ტროპიკულ ინსტიტუტის დაარსების შესახებ საზოგადოდ მაშინდელ რუსეთში.

სხვათა შორის, სრულიად რუსეთის ბუნების მეტყველთა და ექიმთა მე-13-ტე ყრილობამ, რომელიც 1913 წელს მოხდა თბილისში დაადგინა: „აღიძრას შუამდგომლობა, რათა იქმნეს დაარსებული ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტები, როგორც ქალაქ თბილისში, აგრეთვე თურქესტანში". თბილისში ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის დაარსების კონკრეტული გეგმა პირველად რუსეთში ჩვენ მიერ იყო შედგენილი და მეცნიერულად დასაბუთებული 1913-1914 წ. წ. და შემდეგ გამოქვეყნებული კავკასიის ყოფილ სამალარიო კომიტეტის გამოცემათა მე-8 ნომერში და აგრეთვე ჟურნალ „Русский Врач"-ის 1916 წ. 1 ნომერში.

საქ. ტროპიკული ინსტიტუტი წარმოიშვა თანახმად ჩვენი მოხსენებისა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წ., პირველად ცენტრალური სამალარიო სადგურის სახით, რომელიც 1924 წ. მარტში იქმნა გადაკეთებული ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტად. პირველში ცენტრალური სამალარიო სადგურს და შემდეგ ინსტიტუტს ჩვენ მიერ დაედო საფუძვლად ის სამეცნიერო და პრაქტიკული ამოცანები რომლებიც ჩვენ შევითვისეთ 1912-13 წ. წ. ჰამბურგის, რომის და ლონდონის ტროპიკულ ინსტიტუტებში მუშაობის დროს. ცენტრალური ტროპიკული სადგურის არსებობის პირველ ორ წელიწადში რაიმე გეგმიან სამეცნიერო მუშაობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, რადგან იმ დროს ჩვენში ძძვინვარებდა მალარიის ეპიდემია. მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო იმ დროს ექსპედიციების გაგზავნაზე უფრო დაავადებულ ადგილებში, სადაც ექიმები მუშაობდენ ცენტრალურ ტროპიკულ სადგურის მიერ შედგენილ ინსტრუქციის მიხედვით და ურიგებდენ ავადმყოფთ ქინაქინა. გარდა ამისა, იმ წლებში ექიმთა შორის იმდენად ცოტა იყო ტროპიკული მედიცინის დარგში მუშაობის მსურველი, რომ ცენტრ. სადგურის პირველი შემადგენლობა თითქმის მთლიანად მოშორდა მას და მოეწყო სხვა ადგილებზე. უფრო სწორი და სისტემატიური მუშაობა მოეწყო დაწესებულებაში მხოლოდ 1923 წლიდან, როდესაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა დღევანდელი სამეცნიერო პერსონალის შემადგენლობა.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, დაწესებულების ძირითადი დანიშნულებაა სპეციალისტების მომზადება ტროპიკული მედიცინის დარგში, ამიტომ ინსტიტუტი სისტემატიურად ყოველ წელიწადს აწყობს ექიმთათვის სამთვიან კურსებს. ამ კურსებს ხელმძღვანელობს უმთავრესად თვით ინსტიტუტის სამეცნიერო ძალები, საჭირო შემთხვევებში კი იხმარებს გარეშე ძალებსაც (უნივერსიტეტი, ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი, გეოფიზიკური ობსერვატორია). კურსები ტარდება იმავე პროგრამით, როგორც შემოღებულია მოსკოვის, ჰამბურგის, ლონდონის და რომის ტროპიკულ ინსტიტუტებში და ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პრაქტიკულ ვარჯიშობას, რომელიც ტარდება მიკროსკოპიული ტეხნიკაში, ჰემატოლოგიაში, ენტომოლოგიაში, მალარიის და სხვა ტროპიკულ სნეულებათა პარაზიტოლოგიაში. გარდა ამისა, მსმენელები ვრცლად და დაწვრილებით ეცნობიან ინსტრუქციებს პრაქტიკულ მუშაობის შემდეგ სოფლის და ქალაქის მოსახლეობაში. მსმენელები არიან უმთავრესად სამაზრო ორგანოების მიერ გამოგზავნილი ექიმები, რომელნიც კურსების მოსმენის შემდეგ უკანვე ბრუნდებიან მაზრებში სამუშაოდ. ადგილობრივ ტროპიკულ სადგურებში უმთავრესად მუშაობენ ინსტიტუტში მომზადებული ექიმები. სხვა ორგანიზაციებიც (რკინის გზა, წითელი ჯვარი) აგრეთვე დიდი ხალისით იღებენ სამსახურში ინსტიტუტში მომზადებულ ექიმებს. **ამ წლებში ინსტიტუტის კურსები მოისმინა სულ 87 ექიმმა.** ეს თავისთავად დიდი მიღწევად უნდა ჩაითვალოს ჩვენს სინამდვილეში, მაგრამ ეს რიცხვი საკმარისი არ არის, რადგან საჭიროა, რომ საექიმო წერტილების („პუნქტი") ყველა ექიმმა მოისმინოს კურსები ინსტიტუტში და თვით წერტილებს მიეცეს ტროპიკული გადახრა. დამდეგ გაზაფხულისათვის (მარტი – მაისი) ჯ. ს.



პროფ. ს. ვირსალაძე
ინსტიტუტის დირექტორი

კომისარიატის მიერ თანახმად ინსტიტუტის შუამდგომლობისა, მოწვეულია ადგილებიდან მსმენელთა ახალი შემადგენლობა.

ინსტიტუტის უმთავრესი დანიშნულება არის სარა აკვირვ ლია, მეცნიერული მუშაობა. აქ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ინსტიტუტის მუშაკთა მიერ შესრულებული და გამოქვეყნებულია სულ 70 სამეცნიერო შრომა. შრომები ეხება ტროპიკული მედიცინის თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემებს და დაბეჭდილია ქართულ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე. ზოგიერთმა შრომებმა იმდენად მიიპყრეს საკავშირო და ევ-



ინსტიტუტის საერთო ლაბორატორია

როპის სამეცნიერო ლიტერატურის ყურადღება, რომ უკვე გამოყენებულნი არიან სახელმძღვანელოებში იმავე დროს ეს შრომები აშკარად გამოხატავენ თანამედროვე მეცნიერულ მიმდინარეობას. 1922 წლიდან, ავგალითად, მეცნიერებაში აქტუალურად დაისვა მალარიის მკურნალობის საკითხი და ინსტიტუტის მუშაკმა გამოაქვეყნა დასაბუთებული შრომა მალარიის მკურნალობის შესახებ ვენაში ქინაქინის შეშხაპუნებით. შემდეგ ამებურმა დიზენტერიამ ჩვენში მიიღო ეპიდემიური ხასიათი და ინსტიტუტის თანამშრომელმა ჩვენში პირველად წამოაყენა საკითხი ამ სნეულების იატრენით მკურნალობის შესახებ. 1926 წლიდან გერმანიაში მალარიის სამკურნალოდ შემოდის მშვენიერი ახალი პრეპარატი—პლაზმოქინი. ამ პრეპარატის შესახებ ჩვენში ერთსა და იმავე დროს გამოქვეყნდა ორი სამეცნიერო შრომა, მათში ერთი ეკუთვნის

ტროპიკულ ინსტიტუტის თანამშრომელს და მეორე ა.-კ. რკინის ც. ტროპიკულ სადგურის თანამშრომელთ.

რესპუბლიკის შესწავლისათვის ტროპიკული მედიცინის თვალსაზრისით მნიშვნელოვან წყაროს შეადგენს ადგილობრივ ტროპიკულ სადგურების ინფორმაცია, რომელიც თვიურად და წლიურად იგზავნება ინსტიტუტში, და ყველა ის მასალა, რომელსაც ადგილობრივად აგროვებს სამეცნიერო პრაქტიკული ექსპედიციები. ამნაირი ექსპედიციები ფართოდ იყო მოწყობილი 1924 წელში სამეგრელოსთვის პროფ. ვ ო რ ო ნ ი ნ ი ს ხელმძღვანელობით და 1927 წელში კახეთისათვის პროფ. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ი ს ხელმძღვანელობით. ამ წლებში სხვადასხვა მიზნით და სხვა კუთხეებში სულ იყო გაგზავნილი უფრო მცირე შემადგენლობის ექსპედიციები 12-ჯერ. პრ. ვორონინის ექსპედიციამ მალარიის ეპიდ მიოლოგიაში საქართველოში შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი. 1927 წლის კახეთის ექსპედიციამ შეისწავლა ალაზნის ველის გარკვეული ნაწილი გეოლოგიური, ჰიდმიოლოგიური, ბოტანიკური, ენტომოლოგიური და ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით 12 ივლისიდან აგვისტოს დამლევამდე—კარდაკარ ჩამოვლით და ნაწილობრივ ამბულატორიულ მუშაობით—ექსპედიციამ კლინიკურად და პარაზიტოლოგიურად შეისწავლა 3678 ადამიანი და აღმოაჩინა ამ უბეში მალარიის საშინელი გავრცელება 1927 წელი კახეთში გვალვიანი და ამიტომ არა მალარიიანი წელიწადი იყო, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ექსპედიციის გამოკვლევით, ალაზნის გაღმა სოფლებში—ბოლოკიანში, გიორგეთში და ნაენდროვანში მალარიით დაავადებული აღმოჩნდა ოსახლეობის 75,2 პროც.—89,6 პროც.

ინსტიტუტთან არსებობს ამბულატორია, რომელშიდაც იანვრის 924 წლიდან 1 იანვრის 1929 წლამდე გ ტარებულია სულ 52.210 მალარიიანი ავადმყოფი. სამაზრო ტროპიკულ სადგურებში. 1927 წელში გატარებულია სულ 64.772 და 1928 წელში 77.57 მალარიიანი ავადმყოფი. როგორც ინსტიტუტის, აგრეთვე სადგურების ამბულატორიებში ავადმყოფთ მკურნალობენ კვალიფიკაციური მეთოდებით. გარდა ამისა, სადგურები, ინსტიტუტის მიერ მიცემულ ინსტრუქციის მიხედვით, იკვლევენ მალარიის გავრცელების ბუნებრივ ფაქტორებს და აწარმოებენ პროფილაქტიკურ და საგანმანათლებლო მუშაობას.



ავადმყოფი ბავშვები ინსტიტუტში

ინსტიტუტის სამეცნიერო და პოპულიარულ გამომცემლობის შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ დაწესებულებამ გამოსცა სამეცნიერო შრომის ორი კრებული და აწ სრულიად საქართველოს ტროპიკულ დაწესებულებასთან ერთად სცემს „ტროპიკულ მედიცინის მოამბეს". გამოცემულია ინსტიტუტის მუშაკთა შრომები: „მიკროსკოპიული ტეხნიკა", საქართველოს მალარიული გეოგრაფია", „პოპულიარული მოძღვრება" და „სამეცნიერო პოპულიარული მოძღვრება" რუსულ, სომხურ და თურქულ ენებზე. განსვენებულ ექ. მარუაშვილის მიერ შემუშავებულია და მეცნიერულად დასაბუთებულია მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის ხუთწლიანი გეგმა.

1928 წლის ივნისიდან ინსტიტუტში გაიხსნა ათსაწოლიანი სტაციონარი, რაც, როგორც სავკვირველია, ინსტიტუტის მიზნებისათვის ფრიად მცირეა.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის წარმატებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება იმ ახალ შენობას, რომელიც უმაღლეს ორგანოების მიერ გაღებული თანხებით შენდება ორმოცდა ათ საწოლიანი სტაციონარისათვის.

დასასრულს უნდა აღვნიშნო, რომ სრულიად საქართველოს ყველა ტროპიკული დაწესებულებანი გაერთიანებული გეგმით მუშაობენ, რაც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

პროფესორი **სპ. ვირსალაძე.**

# პაკსტონ გიბენი



1928 წ. 6 დეკემბერს შეერთებულ შტატებში გარდაიცვალა ცნობილი ამერიკელი დიპლომატი, მწერალი და საბჭოთა კავშირის მეგობარი კაპიტანი **პაკსტონ გიბენი.** რუსეთში სიმშილობის ხანებში გიბენი მუშაობდა „ნირისტ რელიფში" (აღმოსავლეთის დამხმარე კომიტეტში) და მოაწყო რუსეთის ბავშთა დამხმარე კომიტეტი.

სიკვდილის წინ გიბენმა უანდერძა თავის მეგობრებს, რომ მისი ნეშტი დაეკრძალათ მოსკოვში. თებერვლის პირველ რიცხვებში გიბენის ნეშტი მოსკოვში ჩამოასვენეს და დაკრძალეს.

სურათზე—პ. გიბენი მოსკოვში ყოფნის დროს გვირგვინით amკობს ჯონ რიდის (ავტორი ცნობილი წიგნის „ათი დღე, რამაც შეარყია ქვეყნიერება") საფლავს.

# მუშა-ცხოვრებიდან

როცა თავდება ძველი წელი და
თორმეტს დარეკავს კედლის საათი,—
გაშლიან სუფრას საახალწლოზე,
ნაირნაირად აყვავებულსა.
ჩვეულებრივათ ყავთ ტოლუმბაში,
ის სათამადო ქებას ღებულობს,
და ახალ დროის პირველ საათზე
უკვე სმა არის გაჩაღებული.
გონება თვრება წამით-წამობით
და მას სიჩუმე ესმის გრიალით,
შემდეგ იწყება თანდათანობით
მოქეიფეთა უშნო ღრიალი.
ქეიფს მოჰყვება აყალმაყალი,
ვინმეს მოუვა ჟინი გალახვის,
ვინმე ადგება და ბრაზნაყარი
მას ღვინიან ბოთლს თავზე დაახლის.
შეემდეგ ყანწებით, ბოთლებით სვამენ.
ზოგნი სუფრაზე პირით კვდებიან,
ასე გრძელდება მზის ამოსვლამდე—
მზეს ქართველებიც ასე ხვდებიან.
ასე იცოდენ, მრავალს ეხება,
ამას მუშებიც ასე აწყობდნენ,—
ვარესი იყო ჩვენი შეხვედრა
მილეულ დროის საახალწლოზე.
მუშამ დახარჯა მთლად ჯამაგირი,
ღვინით დაათრო ჭკუა თავისი,
მეორე კვირას სამაგიეროდ
პურიც არ ჰქონდა მას საკმარისი.
თავგაბრუებულს სუნი აქვს მყრალი
მიდის ბარბაცით ცხვირპირ ნაცემი
მე მეზიზღება კაცი დამთვრალი,
მისი სიმღერა თუ ღრიანცელი.

—

მაგრამ მე ვიყავ ერთ ქარხანაში
სადაც ახალი რამ შევამჩნიე,
სადაც ნაცნობი მყავს ამხანაგი
მუშა და ქეიფს იყო ნაჩვევი,—
გულგასარკულად გაშალეს სუფრა,
არა ძველებურ ყანწით და ბოთლით,
შეხვდენ მუშები ახალ წელსწადს,
რძიანი ჩაით და ბუტერბროდით.

**ფრ. ნაროუშვილი.**

# „დროშა"-ს რედაქცია სთხოვს ამხანაგებს

**მოაწოდონ მას ადგილობრივი მშენებლობის დამახასიათებელი ფოტოგრაფიული სურათები.**

# დარაიას პერანგი

## ვ. წ—ძე

— ჩვენ უნდა *მივაღწიოთ იმას, რომ ამ უახლოეს წლებში ჩვენმა გლეხმა დარაიის პერანგის ჩაცმა შეიძლოს და სხვა მხრივაც უზრუნველყოფილი იქნეს მატერიალურად.

ასე დაამთავრა თავისი სიტყვა მეაბრეშუმეობის თათბირზე სამეურნეო დარგის ერთმა მუშაკმა, რომელიც საერთოდ არ არის ჩვეული ეფექტიანი სიტყვის წარმოთქმას.

უხსოვარ დროიდან ჩვენში ხმარობდენ ან შინაურული წესით დამზადებულ თესლს, ან უცხოეთიდან შემოტანილს. არც ერთი ჩვენი დიური თელავსა და ზუგდიდში. ასე, რომ ორი წლის შემდეგ საკუთარი თესლით არა თუ ჩვენ საჭიროებას დავაკმაყოფილებთ, არამედ რამოდენიმე ასეულ ათას კოლოფს გავიტანთ კიდეც მეზობელ რესპუბლიკებში.

თესლი გვაქვს, მაგრამ ნაყოფიერების გასადიდებლად ეს არ არის საკმაო; მთავარია წესიერი მოვლა [და] კვება.

მახსოვს ბავშობიდან—ჩვენი მეზობე ცხლებულ მურებს. უახლოესი ხუთი წლის დამლევს ინკუბატორების ქსელი იმდენად გაფართოვდება, რომ შესძლებს თესლის ნაცვლად, გაცხოველებული მურების დარიგებას მთელი მეაბრეშუმე მოსახლეობისათვის. მაგრამ არც ეს არის საკმაო. ჭიის ნორმალური ზრდისათვის აუცილებელია ტემპერატურა დაცვა, რისთვი-







1) ოზურგეთის ძაფსალები ფაბრიკის საკონტროლო ოთახი, 2) ქუთაისის ახალი საგრენაჟო სადგურის მიკროსკოპიული ანალიზების ოთახი, 3) ქუთაისის აბრეშუმის ფაბრიკა, 4) ქუთაისის მესამე საგრენაჟო სადგურის პარკუჭანების დასაკოდებელი ოთახი, 5) პარკის მექანიკური სახმობი ოთახი და ფარდული (ქუთაისში), საათში ხმება 240 ფ. პარკი.

გლეხისთვის ხელსაყრელი არ იყო. თესლის რაციონალურად დამზადებას სჭირია ცოდნა და მეცნიერული შეიარაღება, რაც ჩვენ გლეხს არასოდეს არ ჰქონია, უცხოეთიდან კი იგზავნებოდა მდარე თესლი, რომელიც ჩვეულებრივ ხანგრძლივ მგზავრობას ვერ იტანს და ვიდრე გლეხის ოჯახამდე მიაღწევდეს, სანახევროდ უვარგისდება. ესეც არ იყოს, გარედან შემოტანილ თესლს ესაჭიროებოდა არა ერთი ათეული ათასი მანეთი, რომელიც ვალიუტის სახით უცხოელების ჯიბეში მიჩხრიალებდა.

დღეს ჩვენი მეაბრეშუმეობა უზრუნველყოფილია საკუთარი კარგი თესლით. სოფ. ვანის ერთი სადგური და ქუთაისის ორი საგრენაჟო სადგური, რომელიც აგებულია სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, ყოველ წლიურად ამზადებს 70 ათასამდე კოლოფს, შენდება კიდევ ორი სალი ქალი, რომელიც მეაბრეშუმეობას მისდევდა, „შეულოცავდა" ჩვარში გახვეულ თესლს, ამოიდებდა იღლიაში და მთელი დღის განმავლობაში უცდიდა ბიოლოგიურ პროცესის დაბოლოებას—ჭიის გამოჩეკას. საღამოს იღლიიდან გამოიღებდა და გაშლიდა თეთრ ნაჭერს, რომელიც შიგნით გამჭვარტლულ ჩვარს მიაგავდა, დაკვირვებული თვალი ძლივს შეემჩნევდა პატარა ჭიების მოძრაობას. ბავშვებს გვაკვირვებდა ეს „ფოკუსი"—პატარა წერტილების ასეთი სწრაფი მეტამორფოზა. მგონი დღესაც ბევრგან არის დარჩენილი გამოცოცხლების ასეთი წესი, ზოგან კი უარესი—კოლოფის შედება ლუმელში, სადაც ტემპერატურის დაცვა შეუძლებელი ხდება. საბედნიეროდ ეს ჩვეულებაც დასალუპავად არის განწირული. საქართველოს რამოდენიმე რაიონში უკვე მოწყობილია საინკუბატორო კამერები, რომლებიც არიგებენ არა თესლს, არამედ გამოცოსაც საჭიროა სათანადო სადგომები და სითბოს საზომი ხელსაწყოები. უკვე გამომუშავებულია ისეთი სადგომის მოდელი, რომელიც 100 მანეთზე მეტი არ დაჯდება. ხუთი წლის განმავლობაში ჩვენი მეაბრეშუმეები და მათი კოლექტივები უზრუნველყოფილი იქნებიან ასეთი სადგომებით.

ტემპერატურის დაცვის საქმე უკვე მოგვარებულად უნდა ჩაითვალოს. გლეხობას წელს ურიგდება 25 ათასი ტერმომეტრი და ამდენივე დაურიგდება მომავალ წელს და შემდეგში.

სისუფთავის დაცვა, საკვების პერიოდული მიწოდება ნორმალური ზრდის აუცილებელი პირობაა, რაც ჯერ კიდევ ბევრს ჩვენს მეაბრეშუმეებს არ ესმით. ინსტრუქტორების გაორკეცებული შტატი და აგრეთვე მეაბრეშუმეობის კურსებზე ასობით გაწვრთნილი ახალგაზრდები

და ქალები შეიტანენ მასაში საჭირო კულტურას მეაბრეშუმეობის მოვლის საქმეშიაც.

ამ ღონისძიებებს შეუძლიათ თითქმის გააორკეცონ აბრეშუმის ნაყოფიერება. თუ ამჟამად მოსავალი ერთ კოლოფზე საშუალოდ ფუთს, ან ფუთნახევარს არ აღემატება, ამ ღონისძიებების გატარების შემდეგ მოსავალი ერთ კოლოფზე $2^1/_2$—3 ფუთს მიაღწევს, ე. ი. 100 ათასი კოლოფი თესლი მოგვცემს 250—300 ათას ფუთ ნედლ პარკს. ამ ხუთ წელში მოსავლიანობა ამაზე ზევით ვერ აიწევს, რადგან მეაბრეშუმეობის შემდგომ განვითარებას წინ ეღობება თუთის ნაკლებობა. მაგრამ ზომებია მიღებული აგრეთვე თუთის ხის ფონდის გასადიდებლადაც. დღემდე უკვე გაშენებულია თუთის ხის სანერგე 60 ჰექტარზე, შენდება კიდევ რამოდენიმე სანერგე, რომელთა ფართობი ხუთი წლის დამლევს 210 ჰექტარს მიაღწევს. ყოველწლიურად მეაბრეშუმეებს დაურიგდებათ 2.500 ათასი ნერგი, ე. ი. 5 წლის დამლევს არსებული ფონდი გადიდდება 150 პროცენტით. ახალი ნერგები ნაყოფს მოგვცემს მხოლოდ მეორე ხუთ წელში.

მეაბრეშუმეობის განვითარებაზე ჩვენში მოქმედებდა არა მარტო შინაური ბაზრის მიზეზები, არამედ უცხოეთის ბაზარიც. საბჭოთა ხელისუფლებამ მეაბრეშუმეობა გაანთავისუფლა ამ დამოკიდებულებისაგან. მთელი მოსავლის 85 პროცენტს დღეს უკვე ამუშავებენ ამ ორი-სამი წლის განმავლობაში აგებული ძაფსახვევი ქარხნები (ოზურგეთის ქარხანა—144 გობით, სამტრედიის—100 გობით, ხონის—96, თელავის—52 და ქუთაისის—144 გობით). ყველგან მუშაობა სწარმოებს ორ წყებათ გარდა ქუთაისისა, სადაც ჯერჯერობით მუშაობს 100 გობი და სადაც ყველა გობის ამუშავებისთან ვე შემოღებულ იქნება სამი ცვლა. ამ ქარხნებს მოემატება კიდევ ერთი ქარხანა ზუგდიდში 100 გობით.

რაც შეეხება ძაფის შემდგომ დამუშავებას, ორი წლის წინად ოზურგეთში აგებულია ძაფსახვევი ფაბრიკა, სადაც 2.600 თითისტარი მუშაობს. შარშან ამ ფაბრიკამ დაამზადა 80 ათასი კილო გრეხილი ძაფი, ანუ გრეჟა. ჯერჯერობით გრეჟის დიდი ნაწილი იგზავნება დასამუშავებლათ საბჭოთა კავშირის ცენტრალურ რაიონის ფაბრიკებში, მაგრამ მიღებულია ზომები, რომ ეს ძაფიც ადგილობრივ გადამუშავდეს. დღემდე თბილისში მუშაობს ერთი საფეიქრო ფაბრიკა, რომელმაც უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაადიდა ნაყოფიერება და გააუმჯობესა აყოფიერების ხარისხი. 1924—27 წელს ამ ფაბრიკამ დაამუშავა 12.610 მეტრი ქსოვილი, ხოლო 1927-28 წელს 59.197 მეტრი. უკვე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები ამ ფაბრიკის გასაფართოებლად, შეძენილია 230 დაზგა, რომელიც ამჟამად უკვე იდგმება ბოზარჯ ანცისეულ თამბაქოს ფაბრიკის შენობაში. ფაბრიკა პირველ წელსვე დაამზადებს 100 ათას მეტრ ქსოვილს, ხოლო ხუთი წლის დამლევს მისი ნაყოფიერება 1.221 ათას მეტრამდე ავა. ამასთან ერთად ეწყობა სატრიკოტაჟო ფაბრიკა, რომელიც სპეციალურად დაამზადებს მაღალი ხარისხის აბრეშუმის ჩულქებს; მოწყობილობა უკვე შეძენილია გერმანიაში. პირველ წელს ფაბრიკა დაამზადებს 18 ათას დიუჟინ ჩულქს, ხოლო ხუთი წლის დამლევს—48 ათას დიუჟინ .

კაპიტალურ მშენებლობაზე და ხედლეულის ბაზის გაფართოებაზე ამ ხუთ წელში განზრახულია დაიხარჯოს 7 მილიონამდე. ბაზარზე გამოსატან აბრეშუმის პროდუქციის ღირებულება ხუთი წლის დამლევს მიაღწევს 21 მილიონს (ომამდე კი იყო 2.5 მილიონი), ხოლო აბრეშუმის მოწველობაში ჩაბმულ მუშა-ხელის რაოდენობა 10 ათასს (ომამდე კი იყო 200). ასეთია მოკლეთ ჩვენი მეაბრეშუმეობის მდგომარეობა ამჟამად და მისი უახლოესი პერსპექტივები.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამაზე უფრო ჩქარი ტემპით ვითარდება ჩაის მეურნეობა, ჩქარი ნაბიჯით მიიწევს წინ მეთამბაქოობა, მევენახეობა, მეხილეობა და სხვა ძვირფას ტეხნიკურ კულტურათა განვითარება, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ოპტიმისტ ორატორის დებულებას, რომ ამ უახლოეს წლებში ჩვენი გლეხი მოღონიერდება იმდენად, რომ შეიძლებს შეიკეროს რამოდენიმე წყვილი აბრეშუმის თეთრეული და უზრუნველყოფილ იქნეს მატერიალურად.

3. წ—ძე

# ფოთის საცივარი

სხვა მრავალ ნაგებობათა შორის, რომლითაც გამდიდრა ფოთი საბჭოთა ხელისუფლების დროს, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ფოთის ნავთსადგურთან გაშენებული მშვენიერი ხუთსართულიანი შენობა—საცივარი საექსპორტო საძონლისათვის.

საცივარი აგებულია სააქციო საზოგადოების „ხლადოექსპორტის“ მიერ, გაშენებულია ზღვის პირათ, აქვს თავისი პატარა გემთსადგომი და რკინის გზის შტოთი შეერთებულია მთავარ ნავთსადგურთან. გემი უშუალოდ მიადგება საცივარს. როგორც დატვირთვა, ისე გადმოტვირთვა ხდება მექანიკურად, რაც საქონლის ღირებულებას ამცირებს.



ფოთის საცივარის შენობა ზღვიდან

საცივარის მთელი მოწყობილობა ამერიკაშია შეძენილი. საცივარი დაყოფილია რამდენიმე კამერად იმის მიხედვით, თუ რა სახის საქონელია შესანახი და გასაყინი.

საცივარი ელექტროენერგიას იღებს აბაშის ჰიდრო-ელსადგურიდან. სამანქანო განყოფილებაში მოთავსებულია ყინულის მკეთებელი ქარხანა, რომელსაც დღე და ღამეში შეუძლია 13,5 ტონა ყინულის დამზადება. ყინულის მიწოდებაც ყინულის შესანახში, დასაფხვნელ განყოფილებასა და ვაგონებში—მექანიკურადაა მოწყობილი.

ამ საცივარს საძირკველი ჩაეყარა 1928 წლის 31 მარტს. ამჟამად ქარხანა მზადაა ყოველი სახის ტვირთის მისაღებათ, გასაყინათ და შესანახათ.

საცივარის აგება დაჯდა 1300—1350 ათასი მანეთი, რაც ბევრათ ნაკლებია იმ თანხაზე, რომელიც ხარჯთაღრიცხვით იყო ნავარაუდევი.

შესანახ კამერათა სივრცე 2225 კვ. მეტრს უდრის და იტევს 1012,5 ტონა ტვირთს.

გ.—ელ.

# საბინაო მშენებლობა ბათომში



ზევით—ახლად აგებული მუშათა სახლი ინტერნაციონალის პროსპექტზე
ქვევით—მუშათა საცხოვრებელი სახლები პუშკინის ქუჩაზე

# ლენინის ინსტიტუტი

1923 წ. 31 მარტს მოსკოვის კომიტეტის პლენუმმა გამოიტანა გადაწყვეტილება ლენინის ინსტიტუტის შექმნის შესახებ. ინსტიტუტის ოფიციალური გახსნა მოხდა 1 წლის შემდეგ—1924 წლის 31 მაისს. პირველ ხანებში ინსტიტუტი მოსკოვის კომიტეტთან არსებობდა, მაგრამ შემდეგ, როგორც საკავშირო მნიშვნელობის მქონე დაწესებულება, პარტიის ცეკას გამგებლობაში გადავიდა.



**ინსტიტუტის შენობა საბჭოთა მოედანზე (მოსკოვში)**

ინსტიტუტის ამოცანა, როგორც ეს ნათქვამია ინსტიტუტის პირველ ბიულეტენში, მდგომარეობს შემდეგში: „კომუნიზმის ყოველმხრივი შესწავლა და ინტერნაციონალური პროპაგანდა, ინსტიტუტი ისახავს არა ვიწრო აკადემიურ მიზნებს, რომლებიც ინსტიტუტის მუშაობას განაცალკევებენ საერთო პარტიულ ცხოვრებიდან. ლენინიზმი უნდა შეიქნეს მისაწვდომი ფართე, არა მარტო პარტიულ (რუსეთის და უცხოეთის) წრეებისათვის, არამედ მუშათა და გლეხთა უპარტიო მასებისათვისაც".

თავის არსებობის პირველ დღეებიდანვე ინსტიტუტმა უდიდესი ყურადღება მიაქცია ლენინის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის შეკრებას, მისი ნაწერების გამოცემას, გამოუქვეყნებელ მასალების დამუშავებას და გამოქვეყნებას.

ინსტიტუტში თავმოყრილია ლენინის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა, დოკუმენტები, რომლებიც ლენინს შეეხება და სხვა. ინსტიტუტი ხელმძღვანელობს ლენინის თხზულებათა გამოცემას, დოკუმენტები, რომლებიც ლენინს შეეხება იბეჭდება სპეც. კრებულში „Ленинский сборник". ამას გარდა ინსტიტუტი უშვებს მთელი იმ ლიტერატურის მიმოხილვას, რომელიც ლენინს ეკუთვნის ან ლენინს შეეხება (კრებულები „ლენინიანა").

ინსტიტუტს ეკუთვნის ერთი უმდიდრესი ბიბლიოთეკათაგანი, სადაც თავმოყრილია აუარებელი ლიტერატურა საზოგადოებრივ საკითხებზე წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების სახით. ინსტიტუტის ბიბლიოთეკის ამოცანაა შეკრება მთელი იმ ლიტერატურის, რომელიც ასე თუ ისე დაკავშირებულია ლენინთან,—ე. ი. შეკრება თვით ლენინის თხზულებების, ლიტერატურის მის შესახებ, ლიტერატურის—ლენინიზმის შესახებ, ყველა წიგნების, ჟურნალების და გაზეთების, რომლებითაც ვლ. ილიჩი სარგებლობდა.

ინსტიტუტთან არსებობს მუზეუმი, სადაც თავმოყრილია ყველა ის ნივთები, რომლებითაც სარგებლობდა ლენინი თავისი სიცოცხლის განმავლობაში (წიგნები, გაზეთები, ლენინის ოთახის მოწყობილობა გადასახლების დროს და სხვ.). აქვე არის ბრაუნინგი, რომლითაც 1918 წ. 30 აგვისტოს ფანი კაპლანმა დასჭრა ლენინი, ტყვიებით დაცხრილული ლენინის პალტო, პარტიული ბილეთი და სხვ.





ზევით—ინსტიტ. ბიბლიოთეკა. ქვევით—ცეცხლგამძლე შკაფები ლენინის ხელთნაწერებით.



**ლენინის ხელთნაწერების ასლების არქივი**

ლენინის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამშრომლები თავიანთი მუშაობის დროს არასოდეს არ სარგებლობენ ლენინის ნაწერების ორიგინალებით, არამედ ხელთნაწერების ფოტოგრაფიულ ასლებით, რომლებიც ინახება ზემოხსენებულ არქივში.

---

მუზეუმის სამგლოვიარო—მემორატიულ განყოფილებაში თავმოყრილია გვირგვინები, რომლითაც შეამკეს ლენინის საფლავი დაკრძალვის დღეს, სახისა და ხელების ნიღაბი, ქანდაკებანი და ლენინის დაკრძალვის ფოტოგრაფიები. იქვე არის სუნ-იატ-სენის მიერ გამოგზავნილი სამგლოვიარო არშია, ლენინისათვის გაგზავნილი საჩუქრები და სხვ.

ლენინის ინსტიტუტი—არის მსოფლიოში უდიდესი სამეცნიერო დაწესებულება, რომელმაც ფართე ნიადაგზე დააყენა ლენინიზმის საკითხების შესწავლა.

ს. ქ.

# რიონის ჰიდრო ელექტრო-სადგურის სამუშაოები



მდ. რიონზე, ქ. ქუთაისის რაიონში, შენდება ძლიერი ჰიდრავლიური სადგური—რიონჰესი (რიონის ჰიდროელსადგური), რომლის პირველი რიგის მანქანების სიმძლავრე იქნება 30.000 ცხენის ძალა. შემდეგში ეს სადგური გაფართოებული იქნება 60.000 ცხ. ძალამდე.
ამ ჟამად სამუშაოები გაცხოველებული ტემპით სწარმოებს, განსაკუთრებით საგუბრის ზილას, რადგან მომავალ გაზაფხულის წყალდიდობამდე საგუბრის მარჯვენა ნაპირის ნახევარზე დამთავრებული უნდა იქნეს ბეტონის სამუშაოები.
სურათზე ნაჩვენებია საგუბრის სამუშაოების მდგომარეობა გასული წლის დეკემბერში.



[illegible]



[illegible]



[illegible]

# პაქტი და ფაქტები
## (ინგლისისა და შეერთ. შტატების სამხედრო მეტოქეობა)

ე. წულაძე

ზოგიერთ დიპლომატებსა და სამხედრო „ისტორიკოსებს“ რომ დაუჯეროთ, საფრანგეთ-გერმანიის 1870—71 წლის ომი იმან გამოიწვია, რომ მეფე ვილჰელმი ზურგით მიუბრუნდა საფრანგეთის ელჩს ბენედეტტის და ამით „შეურაცჰყო“ არა მარტო „ბრწყინვალე“ გრაფი, არამედ მთელი საფრანგეთის „ღირსება“. ამისთვის ბრძოლის ველზე დაიღუპა 41.210 გერმანელი და 138.871 ფრანგი მეომარი. 1914—18 წ. საშინელი ომის ფორმალური მიზეზი, როგორც ვიცით, იყო ავსტრიის ჰერცგერცოგის მოკვლა სარაევოში. ავსტრიის „ღირსების“ დაცვა კაცობრიობას დაუჯდა 10.000.000 ადამიანის სიცოცხლედ და 587 მილიარდი მანეთის (ომის წინადროინდელი კურსით) ქონებად.

მაგრამ ეხლა პიონერმაც კი იცის, რომ „სახელმწიფოებრივი ღირსების დაცვა“ და სხ. ამგვარი „არგუმენტები“ მხოლოდ შირმაა, რომლის უკან იმალება ომების ნამდვილი მიზეზ ბი. ეხლა უკვე ყველამ იცის, რომ საფრანგეთ-პრუსიის ომი გერმანიის სამხედრო ძლიერების ზრდისა და ნაპოლეონ მესამის იმპერიალისტური პოლიტიკის შედეგი იყო; 1914—18 წ. ომი კი—გერმანია-ინგლისის უმაღლეს წერტილამდე განვითარებულმა მეტოქეობამ გამოიწვია.

როგორც იქნა გათავდა ომი. კაცობრიობამ თითქო თავისუფლად ამოისუნთქა, მაგრამ ვერსალში შეკრებილმა „მშვიდობიანობის მოციქულებმა“ ისეთი „საზავო“ ხელშეკრულება გამოაცხვეს, რომელიც ახალი ომის უთვალავ საფრთხეს შეიცავს. საკმაოა გადავხედოთ მსოფლიო რუქას, რომ ამაში დავრწმუნდეთ: საფრანგეთის წინაშე წამოჩოქებული გერმანია; გაფცქვნილი ავსტრია, ბულგარეთი და უნგრეთი; არაჩვეულებრივად გაბერილი სამხრეთ-სლავია (ეს ომის შემდეგდროინდელი ახალი ავსტრო-უნგრეთი), ავსტრიის ტერიტორიის ხარჯზე გაზრდილი იტალია, რომელმაც ფაქტიურად გადაყლაპა ალბანეთი, მთელ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გაბატონებას აპირობს და მოუთმენლად ელის დროს, რომ საფრანგეთს წაგლიჯოს მისი კოლონიები აფრიკაში; პოლონეთი, რომელიც ს ო ლ ი ვ ი თ არის შეჭრილი გერმანიის ტერიტორიაში ლა გადაყლაპვას უპირობს აღმოსავლეთ პრუსიას; ევროპიდან ფაქტიურად განდევნილი თურქეთი, სამანდატო ტერიტორიები აფრიკაში და არაბეთში და მრავალი სხვა პუნქტები, რომლებიც დიდ და პატარა იმპერიალისტებს შორის ღრნილისა და ახალი შეტაკებების საბაბს წარმოადგენენ.

და ყველაფერ ამას ემატება ომის საფრთხის ახალი ფაქტორი:

ინგლის-შეერთებული შტატების მე ოქეობა.

შეერთებული შტატები, რომელიც მსოფლიო ომამდე თვით წარმოადგენდა ევროპის მოვალეს, ომის პროცესში და შემდეგ გადაიქცა მსოფლიო ბანკირად. მისი ვაჭრობა, მრეწველობა, ფინანსიური და სამხედრო ძლიერება ზღაპრულად გაიზარდა. იგი ამჟამად ბატონობს არა მარტო ამერიკულ კონტინენტზე და წყნარ ოკეანეს კუნძულებზე, არამედ უდიდეს ზეგავლენას ახდენს მთელი კაპიტალისტური ევროპის ეკონომიკაზე და პოლიტიკაზე.

მაგრამ ევროპა ნელ-ნელა დგება ნანგრევებიდან. ევროპის კაპიტალიზმმა მოახერხა ზოგიერთი პოზიციების დაბრუნება მსოფლიო ასპარეზზე; განსაკუთრებით ითქმის ეს ევროპის საბანკო კაპიტალზე, რომელიც ამჟამად უკვე სერიოზულ მეტოქეობას უწევს დოლარის ბატონობას არა მარტო თვით ევროპაში, არამედ ნიუ-იორკის ბირჟაზეც.

და, აი შეერთებული შტატების წინაშე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით ისმება მოპოებული პოზიციების შენარჩუნების საკითხი.

— ნაძარცს დაცვა უნდა.

პირველი, რომელმაც საჯაროდ განაცხადა ეს—იყო შეერთებული შტატების პრეზიდენტი კულიჯი. ამის შემდეგ, თითქოს ჯაჭვი აიწყვიტესო, შეერთ. შტატების კაპიტალისტების ამ მთავარი ნოქარის გულახდილობით წახალისე ბული დიდი და პატარა კაცები, სენატორები და დეპუტატები, ადმირალები და პოლკოვნიკები, ღეჭავენ და „აღრმავებენ“ ამ აზრს.

ამ მხრივ სენატორ ჯონსონის გულახდილი არგუმენტაცია შეერთებული შტატების სამხედრო ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცების შესახებ შეიძლება სანიმუშოდ ჩაითვალოს.

აი რა განაცხადა მან სენატში:

„ჩვენ გვესაჭიროება დიდი ფლოტი შეერთ. შტატების უპირატესობის დასაცავად ვაჭრობის დარგში. მსოფლიო დრამის დაწყებამდე ძლიერ მოკლე დრო დარჩა. ეს დრამა წყნარ ოკეანეზე დატრიალდება. ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატები არის საზღვაო სახელმწიფო, რომლის ვაჭრობა სჭარბობს მთელი დასავლეთ ევროპის ვაჭრობას. ჩვენი საგარეო ვაჭრობა ათ მილიარდ დოლარს შეადგენს წელიწადში. ყველაფერი ეს მოითხოვს, რომ ვიყოლიოთ ფლოტი, რომელიც თავის მხრივ საჭიროებს სამხედრო-საზღვაო ძალებს მის დასაცავად.

ვაშინგტონის კონფერენციამ მიზნად დაისახა ინგლისის მიმართ მთელ რიგ დათმობათა გატარება. „ზღვების თავისუფლება“ და „ომის აკრძალვა“ ცარიელი ფრაზებია. მაშ ნება მოგვეცით ვაშენოთ ის, რასაც სასარგებლოდ ვთვლით და



1) ზარბაზნები შეერთებული შტატების დრედნოუტზე „იდახი“, 2) ინგლისის უდიდესი წყალქვეშა ნავი „№ 11“, 3) ახალი სამხედრო გემის ჩაშვება წყალში პორტსმუტის (ინგლისი) ნავთსადგურში, გემი აგებულია ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, 4) შეერთ. შტატების არმიის მანევრები პანამის არხთან. კვამლის საფარის მოწყობა. 5) იტალიის ფლოტის მანევრები ხმელთაშუა ზღვაზე. 6) ახალი სამხედრო ტანკი ერთი კაცისათვის.

რაც მხოლოდ ამერიკისათვის არის საჭირო. მე თავი მომაბეზრა დაუსრულებელ პაციფისტურმა ლაყბობამ.

ინგლისელი იმპერიალისტები თითქოს იხტიბარს არ იტეხენ, არ იმჩნევენ შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გაბზარვას, კვლავინდებურად ლაპარაკობენ „საუკეთესო გრძნობებზე“, რომელიც ინგლისის ხალხს აკავშირებს „ატლანტიის ოკეანეს იქითა მხარეს მდებარე დიდ დემოკრატიულ რესპუბლიკასთან“, მაგრამ ჩუმათ ლესავენ ხმალს ხმალს „მეგობრის“ წინააღმდეგ.

და აი, ჩვენ ვართ მოწამე ფრიად საინტერესო სურათის.

ერთის მხრივ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტები ცდილობენ შექმნან ერთიანი ფრონტი მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომ მოსპონ საბჭოთა ხელისუფლება და კვლავ აღადგინონ ჩვენში კაპიტალისტური წყობილება და მეორე მხრივ, ინგლისის იმპერიალიზმი ცდილობს შექმნას რაც შეიძლება ხელსაყრელი პირობები შეერთებულ შტატებთან მომავალი ომისათვის. ამ მიზნით დაეიწყებულია ის უთანხმოებანი, რომელიც ომის დასრულების შემდეგდროინდელ პერიოდში ახასიათებდა ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობას. აღდგენილია ლონდონ-პარიზის „გულითადი თანხმობა“, დადებულია აიდუმლო საზღვაო შეთანხმება, თავისი მახვილით მიმართული შეერთებული შტატების წინააღმდეგ და სხვ.

ასეთს, თოფის წამლით გაჟღენთილ ატმოსფერაში, ყველა ქვეყნებში არაჩვეულებრივად იზრდება შეიარაღება. დიდი და პატარა სახელმწიფოები ერთმანეთს ეჯიბრებიან წყალქვეშა გემების, კრეისერების და დრედნოუტების შენებაში, არტილერიის გაუმჯობესებაში, ახალი შხამიანი გაზების გამოგონებაში, ჰაეროპლანების რიცხვის გამრავლებაში და სხვ.

იმპერიალისტებისათვის არ არის ხელსაყრელი ლაპარაკი თავიანთ ზრახვებზე. მაგრამ შუ ი ხალთაში არ დაიმალება. ახალი კრეისერები, წყალქვეშა ნავები და ზარბაზნები მჭერმეტყველურად ამტკიცებენ მათ ნამდვილ მიზნებს. საჭიროა ისეთი რამეს გამოგონება, რომ თვალი აუხვიონ მასებს, მიაძინონ მათი სიფხიზლე. ამისათვის ისინი ათი წელია ლაყბობენ მშვიდობიანობაზე, მაგრამ როგორც კი ჯერი მიდგება საკითხის პრაქტიკულად გადაწყვეტაზე, იმპერიალისტების ბანაკში იწყება „ენათ აღრევა“ და ისინი იშლებიან შემდგომ კონფერენციამდე. როცა საბჭოთა კავშირის დელეგაციამ ჟენევაში შეიტანა წინადადება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, იმპერიალისტები შეეცადნენ როგორმე დაესამარებიათ ეს წინადადება და კიდეც მიაღწიეს ამას, რადგან საბჭოთა წინადადება მათ არ უტოვებდა არავითარ ხვრელს შეიარაღების გაგრძელებისათვის თავიანთი იმპერიალისტური ზრახვების განსახორციელებლად. მაგრამ მათ მიიღეს კელოგის პაქტი, რომელიც „კრძალავს“ ომს. ეს პაქტი ფართე ასპარეზე სტოვებს იმპერიალისტების ფარული მახინაციებისათვის. თვითეულ იმპერიალისტურ სახელმწიფოს ისე შეუძლია განმარტოს იგი, როგორც მას მოესურვება. ამას ემატება კიდევ ის გარემოება, რომ მთავარმა იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა მთელი რიგი „შენიშვნებით“ მიიღეს კელოგის პაქტი და ამრიგად გააქარწყლეს ის მინიმალური მნიშვნელობაც, რომელიც მას ჰქონდა.

პირველი სახელმწიფო, რომელმაც დაამტკიცა კელოგის პაქტი, ეს იყო საბჭოთა კავშირი. ეს მოხდა არა იმიტომ, რომ თითქო საბჭოთა მთავრობას კელოგის პაქტი მიაჩნია რეალურ საშუალებათ მომავალი ომის თავიდან ასაცილებლად, არამედ იმიტომ, რომ საბჭოთა მთავრობას სურდა ერთხელ კიდევ დაემტკიცებია თავისი მშვიდობიანობის მოყვარეობა.

რომ კელოგის პაქტი უბრალო ქაღალდის ნაგლეჯად მიაჩნიათ თვით მის ავტორებს, ამას ამტკიცებს თუნდ ის გარემოება, რომ პაქტის დამტკიცებასთან ერთად შეერთ. შტატების სენატი შეუდგა დიდი სამხედრო-საზღვაო პროგრამის განხილვას და სწორედ ახლა უფრო მძლავრად გაისმის მოთხოვნილება „ნაძარცვის დაცვის“ საჭიროების შესახებ.

ამიტომ სავსებით მართალი იყო გერმანელი კომუნისტი-დეპუტატი შტეკერი, რომელმაც რეიხსტაგის ტრიბუნიდან „იმპერიალისტების მიერ გათამაშებული უსაძაგლესი კომედია“ უწოდა კელოგის პაქტს.

ე. წულაძე.



ამხ. ფ. მახარაძის საბავშო სახლის მოწაფეები (ხაშური)



ამხ. ფ. მახარაძის სახელობის საბავშო სახლის შენობა ხაშურში

# უხნიერესი ადამიანი

## ჰანრი ბარბიუსი

იგი 140 წლისაა, შეიძლება მეტისაც. ამ ცოტა ხნის წინათ ვინახულე ველერ ლატიში; ეს ადგილი პატარა აფხაზეთის რესპუბლიკას ეკუთვნის და სამოციოდე კილომეტრითაა დაშორებული შავ ზღვას. ზოგიერთ კავკასიელ ტომში იშვიათი როდია ასი წლის მოხუცი კაცი თუ ქალი. აფხაზეთში მოგზაურს ხშირათ უჩვენებენ მამაკაცებს ან დედაკაცებს, რომელთაც 90 და 100 წლისთვის მიუღწევიათ; ისიც ხდება, რომ ვინმე წელში მოხრილი მოხუცი მეორე ვერცხლის თმიან ბერიკაცს გაცნობს, მამაჩემიაო. ამიტომ ამ ქვეყანაში ასეთი ღრმა მოხუცებულობა ისე არავის აკვირვებს, როგორც ჩვენში.

წებელდაში ჩვენი ავტომობილი დავსტოვეთ და კავკასიურ მთის ცხენებზე შევჯექით, რომელნიც ჩვენთვის მოემზადებიათ. წინ მიგვიძღოდა ორი საუცხოო, ახოვანი მხედარი, აფხაზეთის მილიციის უფროსი და მისი თანაშემწე. უკან მოგვყვებოდა შავგვრემანი მეგრელი, ყარაბინის თოფითა და მათრახით აღჭურვილი. ღამე ლატიში უნდა გაგვეთია, ხოლო მოხუცი, რომელიც მეზობლად სცხოვრობს, მეორე დღეს მოგვეგებნა. ქოხის მცხოვრებლებს თავი მოუყრიათ ძლიერი შუა ცეცხლის გარშემო; ცეცხლი ათბობს და ანათებს კიდეც დიდს დარბაზს. ბუხარი არ არის: კვამლი მჭვარტლავს ჭერს, არავითარი ავეჯი არ სჩანს, გარდა რამდენიმე სკამისა და თაროსი. ამ ჭეშმარიტათ საერთო ბინაში თავი შეუფარებიათ ოჯახის წევრებსაც, ქათმებსაც, ბატსაც, კატასაც და ერთ თხასაც.

ამ შეძლებული გლეხის ოჯახში ძველი დროის ჩვეულებებია გაბატონებული. მე მინდა იმ მოხუცის ნამდვილი სახელი გავიგო, რომელსაც ხვალ უნდა ვესტუმროთ და კითხვით მივმართავ დიასახლისს; მაგრამ დედაკაცს არ შეეფერება უცხოელის წინაშე სხვა მამაკაცის სახელი წარმოსთქვას, გარდა საკუთარი ქმრისა. ამიტომ, თუმცა ეს ქალი უკვე 90 წლისაა, მისგან ვერავითარ ცნობას ვერ ვღებულობ. ბოლოს მე მაინც მოვახერხე ჩემი დიასახლისისაგან ზოგიერთი რამ გამეგო ას ორმოცი წლის მოხუცის შესახებ. ეს ქალი მისი ძმისწული ყოფილა. თვით მას ნიკოლოზ შაპკოვსკი ჰქვიებია, პოლონელი ყოფილა წარმომავლობით. ნიკოლოზის მამა ანდრია პოლონეთიდან გადმოსახლებულა კავკასიაში.

ვახშამათ ქათამი მოგვართვეს, დასჭრეს, ჩანგალზე წამოაგეს და ისე დაგვირიგეს; სტუმრები ხელით სტეხდნენ რგვალად გამოცხობილ მჭადს, ჯამიდან გაკეთებულ წვენში აწებდნენ და სჭამდნენ. ნავახშმევს ხილი და თაფლი მოგვაწოდეს. ქალები ყველანი ჩვენს უკან იდგნენ დარაზმულნი, თითქო ამ დღესასწაულებრივი სერობის მოწმეები ყოფილიყვნენ, მხოლოდ დროგამოშვებით წყალს გვისხამდნენ.

დილით ჩვენი ცხენები ხელახლა გზას გაუდგნენ და ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ფართო ხეგანზე აგვიყვანეს, რომლის შუა ადგილა პატარა კვადრატული სახლი იდგა. თუმცა წვიმა სცრიდა, მინდორში მაინც რამდენიმე კაცი იყო. ყველაზე მეტათ ჩემი ყურადღება მიიპყრო თეთრწვერიანმა მამაკაცმა, რომელსაც პატარა შავი ქუდი ეხურა, ხოლო ქუდზე ყაბალახი ეხვია. თუმცა ჯოხზე იყო დაყრდნობილი, მაინც მარჯვედ მოაბიჯებდა. ეს იყო ნიკოლოზ შაპკოვსკი.

ამაღელვებელ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანის შეხვედრა, რომელიც ალბ თ უხნიერესი ადამიანია დედამიწის ზურგზე, რომელიც ჩვენს პლანეტაზე რაღაც უჩვეულო, თითქოს ზღაპრულ შემთხვევას წარმოადგენს. მართლაც შაპკოვსკი დაბადებულა 1782 წელს, ეკატერინე დიდის მეფობაში, შვიდი წლის წინ საფრანგეთის რევოლიუციის დაწყებამდე.

მოხუცი მომესალმა თავის დახრითა და



ამხ. ჰანრი ბარბიუსი.

გულზე ხელის დადებით, თავისი ცოლი და შთამომავლობა გაგვაცნო. შემდეგ თავისი სახლის პატარა ბალკონზე მიგვიპატიჟა. შაპკოვსკი გარშემორტყმული იყო ნათესავთა მთელი გუნდით; ექვსი სტუმარიც მივემატეთ. მასპინძელმა ძლიერი, ენერგიული ხმით დაიძახმ: „სკამები მოართვით სტუმრებს“.

მაშინვე საუბარი დავიწყეთ. მე გვერდით ვუჯექი ამ ადამიანს, რომელიც სიკვდილს დავიწყებოდა, მის პირდაპირ ერთი ჩემი თანამგზავრთაგანი მოთავსდა, მილიციის უფროსი, რომლის ატლეტური სხეული ჯარისკაცის შინელში იყო გახვეული; იგი უთარგმნიდა მოხუცს ჩემს კითხვებს აფხაზურათ. მოხუცი უპასუხებდა, მილიცი ს უფროსი რუსულათ სთარგმნიდა, ხოლო ამხანაგი სამუელ იგნატი, რომელმაც იმდენათ თავაზიანობა გამოიჩინა, რომ თან გამყვა წებელდაში, ინგლისურათ გადმომცემდა. იმავე დროს ჩემი მდივანი ქალი ანნეტ ვიდალი შენიშვნებს სწერდა. ყველა დასახელებული პირი შენიშვნებით და განმარტებებით აცხოველებდა ამ საუბარს, რომელიც ენათა აღრევის მიუხედავათ მაინც ნათელი და მარტივი იყო. პაუზების დროს, რაიცა საჭირო იყო, რომ ინგლისურათ დასმულ კითხვაზე ინგლისურათვე პასუხი მიმეღო, მე დრო მქონდა მოხუცი ხელმიწვდენით დამეთვალიერებია. თუმცა ღრმა მოხუცებულობა ეტყობოდა, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ წელთა სიმძიმეს ისე მოედრიკოს, რომ მისი გარეგნობა არასასიამოვნო ყოფილიყო. სახე ძლიერ დანაოჭებული არ ჰქონდა, მისი გამოხედვა ნათელი იყო, მისი მოძრაობა მკვირცხლი. სათვალეს არ ატარებდა, ზოგიერთი კბილი კიდევ შერჩენოდა. სჩიოდა მხოლოდ, რომ ყურს დამაკლდაო. მაგრამ ამასაც ვერ შევამჩნევდით ადვილათ. ძნელი დასაჯერებელი ამბავია, რომ მისი ორგანიზმი არაჩვეულებრივი წინააღმდეგობის ძალას მოწმობდა. გვიამბო, არ ვიცი ავათმყოფობა რას ნიშნავსო. ორმოცი, თვით ოცი წლის წინათაც მუხასავით მაგარი ვიყავი და ზურგით ისეთ ტვირთს ვატარებდი, რომ ოცდახუთი წლის ყმაწვილსაც გაუჭირდებოდა მისი აწევაო. წინათ, როდესაც „ჯერ“ კიდევ 120 წლისა ვ ი ყ ა ვ ი, ზამთარ-ზაფხულ მდინარეში ვბანაობდიო. ღვინოს ბლომათ ვსვამდი და უხვად ვჭამდი, ახლა კი ამ მხრივ ცოტათი შევსუსტდიო. მაგრამ არც ეხლა გავურბივარ ღვინოსა და არაყსაო. იცის თუ არა ამ კაცმა, რომ მან სენსაციური მსოფლიო რეკორდი აიღო? შეიძლება იცოდეს. იგი ხედავს, რომ ადამიანები მის გარშემო იხოცებიან; იგი შეეჩვია წლების დაგროვებას, თავის თავი თითქმის ორასი წლისა ჰგონია. იგი ამბობს: „მე არ ვიცი რად ვარ ასეთი ხნიერი; დრო მიდის... მე კი არ მივდივარ“. შემდეგ სდუმს და წყნარად იღიმება.

რა პირობებისა, როგორი ცხოვრების რეჟიმის წყალობით თიალუჯა ჭახ ამ ჭასაკს? შეიძლება უმთავრესი სამშობლოს ნიადაგი და ჰავერი იყოს. მთა ადვილად შობს მუხის ხეს, რომელიც ათას წელს სძლებს. იგი იკვებება იმავე საჭმელით, რასაც მისი მეზობლები სჭამენ. სანამდე უწევს მისი მახსოვრობა? მას ახსოვს, რომ, როცა 12 წლისა იყო, მთაში საქონელს მწყემსავდა და დაერთხელ მეზობელი სოფლის გაძარცვაში მიიღო მონაწილეობა. შაპკოვსკი სამჯერ იყო დაქორწილებული. პირველმა ცოლმა მიატოვა იგიდა შვილებითურთ ოსმალეთში გადასახლებულთა. ტალღას გაჰყვა. მეორე ცოლი მოუკვდა. მისგან ერთი ვაჟი და ორი ქალი ჰყასდა, ისინი დაიხოცნენ, მაგრამ შვილები დასტოვეს ეს შვილიშვილები აფხაზეთშივე სცხოვრობენ. ერთს მათგანს ორმოცი წლის ვაჟი ჰყავს. მესამე ცოლს ავინა ჰქვია და აქვე იმყოფება. იგი 81 წლისაა, ოთხი ვაჟისა და ერთი ქალის დედა. მე გავეცანი 42 წლის ვაჟსა და 26 წლის ქალს.

შაპკოვსკი არ არის უსახსრო: ერთი პატარა სახლი აქვს და ერთი ძროხა ჰყავს. ვაჟიც ზრუნავს მისთვის. ამასგარდა 15 მანეთს პენსიას ღებულობს, როგორც ღრმათ მოხუცებული. უკან დაბრუნებისას ჩემს თავს ნება მივეცი, მთავრობის მოხელეებისთვის მეთხოვა, ცოტათი გაედიდებიათ ეს პენსია. როცა სოხუმში ჩავედი—შევეცადე ამ მათუსაელის ჰასაკი ხელმიწვდენით გამომერკვია. მის პირადობის მოწმობას, რომელიც სოციალური უზრუნველობის უწყებაში ვიპოვე აწერია: 1927 წელს 140 წლისაა.

**ჰანრი ბარბიუსი.**

# საქართველოს მუზეუმი

## (მუზეუმის ახალი შენობის დამთავრების გამო)

### გ. ჩიტაია



საქართვ. მუზეუმის შენობა (რუსთაველის პროსპექტზე)

საქართველოს მუზეუმის ახალ შენობას უკვე ჩამოეხსნა ხარაჩოები. სადაც არის შენობის შიგაც დასრულდება მოსამთავრებელი სამუშაოები და მოკლე ხანში მუზეუმს გადაეცემა სპეციალური შენობა, რომელშიაც მუზეუმს საშუალება ეძლევა გააჩაღოს საგამოფენო მუშაობა და ფართო მასებისათვის მისაწვდომი გახადოს თავისი კოლექციები.

შესაფერისი შენობის უქონლობის გამო მუზეუმს დღემდე მხოლოდ ზოოლოგიური კოლექციების მცირე ნაწილი ჰქონდა გამოფენილი, დანარჩენი ქონება გამოუყენებელი რჩებოდა. დღეს ამ მხრივ მთავარი დაბრკოლება გადალახულია. მუზეუმის მდიდარი მასალის გაშლის შესაძლებლობა უკვე მოცემულია.

საქართველოს მუზეუმს დიდძალი სამეცნიერო ღირებულების მქონე განძი მოეპოება. მის ხუთ ძირითად განყოფილებაში (ზოოლოგიური, ბოტანიკური, გეოლოგიური, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული) მრავალი იშვიათი ნივთია დაცული. საკოლექციო საგნების რაოდენობა 10.000-დე აღწევს. მრავალი მათგანი სამეცნიერო პუბლიკაციის გამო, რასაც წინ უსწრებს მათი შესწავლა, ცნობილია საქვეყნოდ. მუზეუმს სამეცნიერო წრეებში საკმაო ავტორიტეტი აქვს მოპოებული. ამჟამად მასთან საქმიან ურთიერთობაში იმყოფება 99 საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო დაწესებულება. მაგრამ რაგინდ მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს თავის-თავად მუზეუმის კოლექციები, რაგინ ღირებული არ უნდა იყოს მუზეუმის მიერ წარმოებული სამეცნიერო მუშაობა, ვიდრე მუზეუმს არ მოუწყვია ფართო ხასიათის გამოფენა — იგი თავის დანიშნულებას სავსებით მაინც ვერ გაამართლებს. სამუზეუმო მუშაობაში კოლექციების გამოფენა ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავი საგანია.

მუზეუმის განყოფილებებს უკვე დამუშავებული აქვთ საგამოფენო გეგმები. კერძოდ ზოოლოგიურ განყოფილებეას განზრახული აქვს მოაწყოს ცხოველთა ბიოლოგიური ჯგუფები და გამოფინოს ფრინველთა, ძუძუმწოვართა და ოსტეოლოგიური მასალა სისტემატიური თანრიგით. ეთნოგრაფიული გამოფენის ერთი ნაწილის პროგრამა ვარაუდობს მთიანი საქართველოს შემდეგ ერთეულებს: ხევსურეთს და სვანეთს, ხოლო ბარისას: ქართლს, კახეთს, სამეგრელოს და გურიას. პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე საქართველოს ავტონომიურ ერთეულებსაც. თითეული ეთნოგრაფიული ერთეული წარმოდგენილი იქნება საყოფა-ცხოვრებო დიაგრამებით და კომპლექსებით, რომლებიც ყოფისა და წარმოების პრინციპზე იქნება დალაგებული.

მაგრამ მომავალი გამოფენის მოწყობის საქმეში მარტო პრინციპული და პროგრამული საკითხებია ჩვენთვის საგულისხმო. გამოფენის საქმეში მთავარი საკითხი ის არის, თუ როგორ უნდა მოეწყოს გამოფენა ისე, რომ საუკეთესოდ ემსახურებოდეს ცოდნის პოპულიარიზაციის მიზნებს, რომ იგი ხალხის კულტურული დონის ასაწევ მძლავრ იარაღს წარმოადგენდეს, ე. ი. გამოფენა ხალხის ფართო მასისათვის ადვილად საკითხავი „წიგნი“ იყოს.

ამისათვის საჭიროა გამოფენილი ობიექტი თავისი ანსამბლით იმდენად მეტყველებდეს, რომ ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდეს მნახველზე, მის ესთეტიურ ემოციებზე მოქმედებდეს. ეს მოსაზრება ის მთავარი დებულებაა, რომელიც ახალი „თვითმოლაპარაკე“ მუზეუმის საფუძვლადაა აღიარებული. საქართველოს მუ-

ზეუმს სწორედ ასეთი გამოფენის მოწყობა აქვს მიზნად დასახული. რამდენად შესძლებს ის ამის განხორციელებას—ეს უმთავრესად მუზეუმის მუშაკების ცოდნისა და შემოქმედებითი უნარისგანაა დამოკიდებული.

მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად სხვა მიმართულებითაც არის საჭირო მუშაობის წარმოება. „თვითმოლაპარაკე“ მუზეუმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მნახველის აქტიურობას. რამდენად აქტიურია მნახველი გამოფენილ საგნისადმი, იმდენად უფრო მეტად მეტყველია გამოფენილი ობიექტიც. „ყრუთათვის“ ექსპოზიციაც ყრუა. მუზეუმი ამ მხრივაც აწარმოებს შესაფერის მუშაობას. მიღებულია ზომები ექსკურსიების ხელმძღვანელთა კვალიფიციური კადრის შესაქმნელად, რომელიც ცოცხალი სიტყვის შემწეობით შესავალ კაბინეტებში შერჩეულ კოლექციების მიხედვით მნახველებს ინტერესს აღუძრავს გამოფენილ თემებისადმი და ძირითად საგამოფენო ექსპონატების შეთვისებას გაუადვილებს. აგრეთვე მიღებულია ზომები, რომ გამოიცეს მუზეუმში წარმოდგენილ სამეცნიერო დარგების კოლექციების შესახებ სახალხო პოპულიარული ლიტერატურა, მოეწყოს სახალხო უნივერსიტეტი სამუზეუმო ექსპოზიციებთან დაკავშირებული კურსებით და სხვა.

ზემოთქმულის მიხედვითაც ცხადია, თუ რამდენად რთული და პასუხსაგები ამოცანის წინაშე სდგას საქართველოს მუზეუმი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რომ იგი ღირსეულად შეასრულებს თავის დანიშნულებას და ჩვენი ხალხის, მუშისა და გლეხის თვითშეგნების გაფართოებისა და გაღრმავების საქმეში უდიდეს როლს ითამაშებს. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ მუზეუმის გამართვა ჩვენი კულტუროსნების და მეცნიერული მომზადების გამოცდაც არის.

გ. ჩიტაია.

ფოტო — ა. კოგანის.



საქართველოს მუზეუმის ზოოლოგიური განყოფილების დარბაზი

# არქეოლოგიური გათხრები საქართველოში

## დ. ნაცვლიშვილი

ამ ბოლო დროს არქეოლოგიურ მუშაობას საქართველოში მეტი გაცხოველება დაეტყო. თუ რამდენად მნიშვნელოვანია არქეოლოგია, როგორც მეცნიერება, ეს ყველასათვის ცხადია. იგი სარჩულია ისტორიის და ხალხის კულტურის შესასწავლად აუცილებელი პირობაა. არქეოლოგიის მიერ აღმოჩენილ საგნების წყალობით ჩვენ ვეცნობით ჩვენი უძველეს წინაპრების კულტურულსა და ნივთიერ ყოფა-ცხოვრებას, ხელობას, ზნე-ჩვეულებას, ხელოვნებას და სხვ. მაგრამ არც ისე ადვილია არქეოლოგიური მუშაობის წარმოება. რამდენად შორეულ წარსულთან აქვს არქეოლოგიას საქმე, იმდენად მეტი სიფრთხილე და დაკვირვებაა საჭირო. პირველყოფილი ანუ უძველესი და ნახევრად ველური ადამიანი თავისი უკულტურობისა და განუვითარებლობის გამო ძლიერ ცოტა რამეთი კმაყოფილდება. მისთვის საკმარისი იყო მხოლოდ სითბო, საჭმელი, სასმელი, თავდაცვა და ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად რამოდენიმე სხვადასხვა იარაღი. ასეთი ადამიანის ნივთიერ ქონებისაგან ცოტა რამ თუ მოაღწევდა ჩვენს დრომდე, რამოდენიმე ათასეული წლების განმავლობაში. ყველაზე უფრო შორეული და ძველი არქეოლოგიისათვის



სამარხში ნაპოვნი ნივთები

ა) თიხის ჭურჭლები, ბ) თავის ქალა, ვ) სამაჯურები, გ) ჩონჩხის ნაწილები, ე) ბრინჯაოს მახვილი, დ) შუბი, ზ) სადგისი, თ) დანა

პირველყოფილი ადამიანის კულტურის ნაშთების აღმოჩენაა. ამ დარგში არქეოლოგიას უძველეს ადამიანისაგან დარჩა მხოლოდ ქვისა და ძვლისაგან გაკეთებული იარაღები. ამ უძველეს დროს ეწოდება ქვის ეპოქა. ქვის ეპოქა ორ პერიოდათ არის გაყოფილი მეცნიერებაში. პირველია, როცა ადამიანმა ნაკლებად იცოდა ქვის დამუშავება თავის საჭიროებისათვის; ამ პერიოდს ეწოდება პალეოლითის ხანა. მეორე ხანა იყო, როცა ადამიანმა ისწავლა ქვის უკეთესად დამუშავება (მისი დახეთქვა სწორ ნაჭრებად, ტარის დაგება, გახვრეტა, გასიპვა და სხვ.). ამ, დამუშავებულ ქვის ეპოქას ეწოდება მეცნიერებაში ნეოლითის ხანა.

ეს პატარა შესავალი იმისთვის კი არ გაგვიკეთებია, რომ მკითხველს გავაცნოთ ქვის ეპოქის ადამიანის ყოფა-ცხოვრება, რომლის შესახებ დიდი ხანია არის მეცნიერებაში ცნობაც და გამოკვლევებიც. ჩვენ გვინდა შევეხოთ ერთ საკითხს, რომელიც აქამდე მეცნიერებაში სადაოდ იყო მიჩნეული; ეს არის—კავკასიაში ქვის საუკუნის ადამიანის ყოფნა და ცხოვრება. ერთ დროს საფრანგეთის მეცნიერი შ ა ნ ტ რ ი ამტკიცებდა, რომ კავკასიაც ქვის ეპოქის უახლოეს დროის (ნეოლითის) ადამიანის ბინას წარმოადგენდაო, მაგრამ საბუთების უქონლობის გამო ეს დებულება გაბათილდა. ასეთივე ცდები მოახდინა 1913-14 წლებში მეცნიერმა რ ო ბ ე რ ტ შ მ ი დ ტ მ ა ქალაქ ქუთაისის მახლობლად და აგრეთვე 1916 წელში პროფესორმა კ რ უ კ ო ვ ს კ ი მ სოფელ რგანში. ამ გათხრების დროს კრუკოვსკიმ იპოვა პალეოლითის ეპოქის იარაღები. ამით იჭრება ამ დროის ადამიანის არსებობის პრობლემა კავკასიაში.



პატარა სამარხი

როგორც ვთქვით, ეს იყო პირველი საბუთები ამ ბნელით მოცული საკითხის შესახებ; მეორე საბუთი არის არქეოლოგ გ. ნ ი ო რ ა ძ ი ს მიერ ახლად აღმოჩენილი პალეოლითის ეპოქის ქვის იარაღები. ეს იარაღები აღმოჩენილია შორაპნის მაზრაში ზანდების კლდეებში, გამოქვაბულ „დევის ხვრელში“ (იხ. სურ.). ასეთი გამოქვაბული იყო პირველყოფილი ადამიანის ბინა და იგი აუცილებლად წყლის მახლობლად იმყოფებოდა. დევის ხვრელსაც აქეთ-იქეთ მდინარეები ჩამოუდის. ის მაღალ და მტრისათვის ძნელად მისავალ კლდეზე მდებარეობს. თავის დროზე, როგორც სჩანს, გარშემო დიდი გაუვალი ტყით იქნებოდა დაფარული, ვინაიდან ეხლაც მდიდარია ეს მიდამო სხვადასხვა მცენარეულობით. შიგ გვირაბში ნაპოვნია ძველი ქვის ეპოქის (პალეოლითის) სხვადასხვა იარაღები კაჟისა და ობსიდიანისაგან გაკეთებული: დანები, საფხეკები, სადგისები, რომლითაც ქვის ეპოქის ადამიანი ქურქს იკერავდა, მიკროლიტები—(სილამაზისათვის სხეულის კანის მოსახაზავი იარაღი) და სხვ. ამათში აღსანიშნავია ნუკლეუსები, რომლებიც წარმოადგენენ ერთგვარ ქვას, რომელსაც ცალკე ფირფიტებათ ამტვრევდნენ და სხვადასხვა დანის მსგავს იარალს ამზადებდნენ. აქედან სჩანს, რომ დევის ხვრელში ადამიანს მარტო საცხოვრებელი ბინა კი არ ჰქონია, არამედ ქვის იარალის სახელოსნოც, რასაც ამტკიცებს გვირაბში ნახულ იარაღების სიმრავლე. ამ ქვის იარაღებთან ერთად ნაპოვნია სხვადასხვა ძვლის იარაღები, ძვლის ხანჯალი, სადგისი და სხვ. გამოქვაბულში მრავლად იყო ცხოველების

ძვლები და კბილები აქედან ადვილი გამოსარკვევია, თუ რა ცხოველებზე ნადირობა უხდებოდა ძველ ადამიანს. აქ არის ჯიხვის, ჯეირანის, ირმის, გარეული ღორის და სხვა გარეული ცხოველების ძვლები. ზოგ ცხოველის კბილებს ადამიანი ხმარობდა, როგორც სამკაულს და თილისმას. ვისი წინაპარი იყო ეს ძველი კაცი,—ამის თქმა, რასაკვირველია ძნელია. არც იმისი თქმა შეიძლება სისწორით, თუ რომელ საუკუნეში ცხოვრობდა ეს ადამიანი. დაახლოებით და საერთოდ მიღებული აზრით ქვის ეპოქა 18-19 ათასი წლის წინედ იმყოფებოდა.



## „დევის ხვრელი"

მეორე დამახასიათებელი მონაპოვარი ჩვენი არქეოლოგიისა ამ ბოლო დროს არის უძველეს სამარხის აღმოჩენა ზემო-ავჭალის მახლობლად. ეს სამ რხი ეკუთვნის უძველეს ხანას, ვიდრე ამაზე წინ აღმოჩენილი სამარხები კარსნის ხევში. იგი ბრინჯაოს ეპოქის ნაშთია და ჯერჯერობით ყველაზე ძველი სამარხი ეს უნდა იყოს ჩვენში. მაგრამ რაც ყველაზე უფრო საინტერესოა, ეს ის, რომ ასეთი „ნიშანდობლივი ხასიათის სამარხი არა თუ ჩვენში, არამედ მსოფლიო არქეოლოგიურ ლიტერატურაშიც არ მოიპოვება. რას წარმოადგენს ეს სამარხი? აქ დამარხულია შეიარაღებული ქალი, მჯდომარე პოზით. როგორც საერთო წესათ იყო მიღებული, ძველ დროში მიცვალებულისათვის თან უნდა ჩაეტანებიათ სხვადასხვა ჭურჭლები, იარაღი და სამკაული. ამ სათვალავშიც მრავლად მოიპოვება თიხის ჭურჭლები, სამკაულები, შუბი, შუბის ქვეშ—ცხენის ქვემო ყბა, დანა, ხოლო მუხლებზე კი ქალს უდევა ბრინჯაოს ბოლოკვეთილი მახვილი. ასეთი ტიპის მახვილის პოვნა სულ ორიოდე მაგალითია საქართველოში (ერთი — ბაიერნის მიერ). ასე, რომ შეიძლება ეს მახვილი წმინდა ქართული ტიპის იარაღად ჩავთვალოთ. ერთი სიტყვით, ეს შეაირაღებული ქალის სამარხი, შიგ ჩაყოლებული საგნებით, მეტად საინტერესო მოვლენაა ჩვენი არქეოლოგიის ისტორიაში და დიდი ყურადღების ღირსიც. ასეთი შეიარაღებული ქალი გვაგონებს ძველი მწერლების თქმულებას ამორძალების შესახებ, რომლებიც თითქოს კავკასიაში ცხოვრობდნენ. საერთოდ ეს აფლავი უნდა ეკუთვნოდეს ბრინჯაოს ხანის ბოლოს და რკინის საუკუნის დასაწყისს, ე. ი. დაახლოებით, მე-15 საუკუნეს ქრისტეს დაბადებამდე.



**„დევის ხვრელში" ნაპოვნი ქვის და ძვლის იარაღები:** ა) ქვის დანები და საფხეკები, ბ) მიკროლიტი, გ) ობსიდიანის სადგისი, დ) ძვლის სადგისი, ე) ძვლის ხანჯალი.

კიდევ ერთი არა ნაკლები მნიშვნელობის აღმოჩენა, რომელიც უცნობი იყო კავკასიისა და საქართველოს არქეოლოგიისათვის, ნათელყოფს იმდროინდელ ჩვენი ისტორიის ფაქტებს. ამას წინად წიწამურში, ჩვენი არქეოლოგის მიერ გათხრილი იქნა რამოდენიმე პატარა სამარხი რომლებიც სიგრძით 80—85 სანტიმეტრს არ აღემატებიან. ეს სამარხები წარმოადგენენ პატარა ქვების ყუთებს, რომლებშიაც ადამიანის ძვლებია ჩაწყობილი. რა ტიპის, ან რომელ საუკუნის სამარხებათ უნდა იქნან ცნობილი ესენი? უნდა აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანობის მიღებამდე საქართველო სპარსეთიდან გადმოღებულ სარწმუნოებას—მაზდეანობას იზიარებდა, რომელიც კრძალავდა მიცვალებულის როგორც მიწაში დამარხვას, ისე მისი ცეცხლში დაწვას, რადგან მიწა და ცეცხლი „წმინდა" საგნებად იყო მიჩნეული, ხოლო ადამიანის სხეული ბინძურ არსებათ იყო გამოცხადებული. ამიტომ მიცვალებული გასახრწნელად სოფლის ან ქალაქის გარედ გაჰქონდათ და ხარის ტყავში ან სხვა რამეში გახვეულს ჩამოჰკიდებდნენ ხოლმე ხეზე. როდესაც ამ მდგომარეობაში მყოფი მიცვალებული იმდენად გაიხრწნებოდა, რომ ძვლები დაიშლებოდნენ და ძირს ჩამოცვივოდნენ, შემდეგ შეიძლებოდა მათი აკრეფა და ერთ ადგილას ჩაყრა ანუ დასაფლავება.

ჩვენ მოკლედ აღვნუსხეთ ჩვენი არქეოლოგიის სწრაფი ნაბიჯით წინსვლა. ყველაფერი, რაც აღვნიშნეთ ახალ აღმოჩენების შესახებ, ქრონიკის ხასიათისაა, ხოლო ფართო და სწორ გამოკვლევას, რასაკვირველია, სპეციალისტებისაგან ველით.

**დ. ნაცვლიშვილი.**

## კაპიტალის ტყვეებს

შავ რეაქციის სასტიკ ბრჭყალებში,
ამხანაგებო, იბრძოდით მედგრათ;
სიკვდილს უმზერდით რისხვით
თვალებში
და უყიოდით ხალხს ასამხედრათ.
სასტიკი იყო თქვენი შეტევა,
ბარიკადებზე, როცა სისხლს ღვრიდით
და აიტანეთ დევნაც და რბევაც
გლადიატორულ სულის სიმშვიდით.
რევოლიუციის წითელ რაინდებს
წითელი დროშა მიგქონდათ წინა,
ვინც მხარს გიჭერდა არვინ დაინდეს,
ციხე-ჯურღმული გეხდათ ყველას
ბინათ.
მაგრამ სასჯელმა, ჯოჯოხეთურმა
თქვენში ვერც ერთი ვერ შეაშინა.
ვეღარც გაჩნდება ძალა ისეთი,
რომ თქვენს ატეხილ გრიალებს
სძლიოს,
ვიდრე სასტიკი მისი კვეთება
ბორკილს არ აჭყრის ტყვედ-ქმნილ
მსოფლიოს.

**გ. ქუჩიშვილი.**



იანვარში დასრულდა ინგლისის კომპარტიის ყრილობა, რომელმაც მიიღო მთელი რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. სხვათა შორის, ყრილობამ გადასწყვიტა საკუთარი კანდიდატები წამოაყენოს უმთავრეს ცენტრებში მიმდინარე წლის საპარლამენტო არჩევნების დროს.

**სურათზე,**—ინგლისის კომპარტიის კანდიდატები მომავალ არჩევნებში. **პირველ რიგში სხედან** (მარცხნიდან მარჯვნივ): 1) **ბილი გალახერი**, რომელიც წამოყენებულია **ვილიამ ადამსონის**, შოტლანდიელ მემაღაროეთა რეაქციონერი ბელადის წინააღმდეგ ვესტ-ლაიფში, 2) **ელენ კროუფორდი** (შოტლანდიელ მემაღაროეთა მეორე რეაქციონერ ბელადის **ჯონ სულივანის** წინააღმდეგ ბოტველში, ლანკაშირი), 3) **ჯეკ ვილსონი** (მუშათა პარტიის კანდიდატის **მორგან ჯონსის** წინააღმდეგ კერფილიში, სამხრეთ უელსი), 4) **არტურ ხორნერი** (პოლკოვნიკ **ვატს მორგანის**, მუშათა პარტიის კანდიდატის წინააღმდეგ ისტ-ხონდში, სამხრეთ-უელსი) 5) **ფრანკ ბრაიტი** (მუშათა პარტიის კანდიდატის **სტეფან უოლენის** წინააღმდეგ ინსში, ლანკაშირი).

**მეორე რიგში** (მარცხნიდან მარჯვნივ) **დგანან:** 6) **ვილიამ ბრეინი** (**ჯონ ბრომლის** წინააღმდეგ ბაროინ-ფერნესში), 7) **ჯ. ტ. მერფი** (ცენტრალ-გაკნი, ლონდონი), 8) **რ. ბიშოპი**, 9) **გარი პოლიტი** („მუშათა" პარტიის ლიდერის, სოციალ-მოღალატე **რამზეი მაკდონალდის** წინააღმდეგ (იგემში), 10) **ვილლი ალანი**, 11) **ატკენ ფერგიუსონი** (**ბალნერ ელიოტის**, ცნობილ კონსერვატორის წინააღმდეგ კელვინგროვში, გლაზგო).

# ქართული ხელოვნების საკითხები საკავშირო სამხატვრო აკადემიაში

(წერილი მოსკოვიდან.

ა. კ—ძე.

ჩვენს პრესაში უკვე იყო ცნობა იმის შესახებ, რომ მოსკოვის ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიასთან დაარსდა ქართული ხელოვნების შემსწავლელი განყოფილება.

განყოფილების პრეზიდიუმის წევრად აკადემიამ დაამტკიცა: ამხ. ამალლობელი ს. (ხელოვ. მეც. აკად. წევრი-კორესპონდენტი), ლვოვ-რაგაჩევსკი ვ. (ხელოვ. მეცნიერ. აკადემიის წევრი), თავზარაშვილი გ. (მოსკოვის მე-2 უნივერსიტეტის სწავლული თანამშრომელი), სოკოლოვი ბ. (აკადემიის წევრი) და სამარინ ი. (საბჭოთა კავშირის ერთა ხელოვნების შემსწავლი კომიტეტის სწავლული მდივანი).

განყოფილებამ უკვე გაიარა საორგანიზაციო პერიოდი და შეუდგა საქმიან მუშაობას. მიმდინარე 28-29 აკადემიური წლის საწარმოო გეგმიდან განყოფილებამ უკვე განახორციელა შემდეგი:

1. ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში, მოსკოვში სვანების სახალხო მომღერალთა გუნდის ყოფნასთან დაკავშირებით, ზემოხსენებულ აკადემიაში გაიმართა სვანების საღამო. მოხსენებით გამოვიდნენ ამხ. შილინგი (მოსკოვის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სწავლული თანამშრომელი) და პროფ. ანისიმოვი. მოხსენების შემდეგ სვანეთის სახალხო გუნდმა გამართა შინაარსიანი ეტნოგრაფიული ხასიათის კონცერტი. დასასრულ ნაჩვენები იქნა კინო-ფილმი „სვანეთი“.

2. 18 დეკემბერს ქართული ხელოვნების განყოფილებამ მოაწყო პროფ. დ. არაყიშვილის მოხსენება შემდეგ თემაზე: „ქართული მუსიკა და მისი კულტურა“. მოხსენებას თან ახლდა დამუშავებული დიაპოზიტივები და აგრეთვე ზოგიერთი ქართული რომანსების დემონსტრაცია, რომლის შესრულებაშიაც მონაწილეობა მიიღეს: მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის მოწაფეებმა, მომღერლებმა: გვათუას ქალმა და ცირღილაძემ.

3. 8 იანვარს განყოფილების მორიგ სხდომაზე ამხ. გ. თავზარიშვილმა გააკეთა მოხსენება თანამედროვე ქართული ლიტერატურის შესახებ. მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ვ. კოტეტიშვილმა, შ. დუდუჩავამ, ვ. ლვოვ-რაგაჩევსკიმ, ბ. სოკოლოვმა, ს. ამალლობელმა და სოსლან კანდელაკმა.

ამას გარდა:

4. განყოფილება შეუდგა მუშაობას თანამედროვე ქართული ლიტერატურის ანთოლოგიის გამოსაცემად რუსულ ენაზე, სათანადო კრიტიკული წერილებისა და ბიბლიოგრაფიული მასალების დართვით. (ანთოლოგია განზრახულია გამოცემულ იქნეს ამ წლის დასასრულისათვის).

5. დანიელ ჭონქაძის დაბადებიდან ასი წლის შესრულების მიახლოვებისა და „სურამის ციხის“ პირველად დაბეჭდვიდან (1859 წ. „ცისკარი“) 70 წლის შესრულების გამო განყოფილებამ უკვე დაამზადა რუსულად გამოსაცემად ეს ნაწარმოები და გადასცა რუსეთის სახელგამს.

6. ვინაიდან ქართული თეატრისა და თეატრალური კულტურისადმი დიდი ინტერესის გამო ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულმა საბჭოთა კავშირის ხალხთა შემსწავლელმა კომიტეტმა მოიწვია საგასტროლოდ მოსკოვში საქართველოს მეორე სახელმწიფო თეატრი, აკადემიის ქართულმა განყოფილებამ აღძრა შუამდგომლობა, რომ მოსალოდნელი თეატრალური ოლიმპიადის დროს მოწვეულ იქნეს მოსკოვში საგასტროლოთ აგრეთვე რუსთაველის სახელობის თეატრი.

მიმდინარე წლიდან განყოფილების მოღვაწეობა უფრო გაფართოვდება. უპირველეს ყოვლისა მკვიდრ ნიადაგზე უნდა მოეწყოს განყოფილების მიერ დაარსებული ლენინგრადის ფილიალი, უნდა განმტკიცდეს ორგანიული კავშირი მოსკოვის და საქართველოს ხელოვნების დაწესებულებებთან და ცალკე პირებთან.

ამ წლის საწარმოო გეგმიდან უახლოეს მოხსენებათა ციკლი განყოფილების მიერ შემდეგნაირად არის განაწილებული: შ. დუდუჩავას მოხსენება—ქართული სახვითი ხელოვნების შესახებ; ს. ამალლობელის მოხსენება—ქართული ხელოვნების სოციოლოგიისათვის; 26 თებერვალს მოხდება დიდი ქართული ლიტერატურულ-ვოკალური საღამო, რომლის მოწყობაც დაკისრებული აქვს სპეციალურად გამოყოფილ კომისიას. საღამოში მონაწილეობის მისაღებად ადგილობრივ ძალებს გარდა საქართველოდანაც იქნებიან განსაკუთრებით გამოწვეული პირები; მარტის პირველ რიცხვებში დანიშნულია მოხსენება თანამედროვე ქართული ლიტერატურული კრიტიკის შესახებ. მარტის მეორე ნახევრის, აპრილისა და მაისის საწარმოო გეგმას ჯერ არ ვაქვეყნებთ, რადგანაც ამ დროისათვის მოსალოდნელია გეგმაში რაიმე ცვლილებების შეტანა.

ამჟამად განყოფილება აერთიანებს 50 მდე წევრს, მათ შორის 25 პროც. მუსიკის დარგში მომუშავეა, 20 პროც.—ლიტერატურისა და კრიტიკის დარგში, 12 პროც.—თეატრისა და კინოს დარგში, 8 პროც.—სახვითი ხელოვნების დარგში; დანარჩენები მუშაობენ ხელოვნების მოსაზღვრე დისციპლინების სხვადასხვა დარგში და ორგანიულად არიან დაკავშირებული განყოფილების მუშაობასთან. განყოფილების მუშაობაში ღებულობს მონაწილეობას აკადემიის ყველა დაინტერესებული წევრი და სწავლული თანამშრომელი.

ა. კ—ძე.



საარჩევნო კრება სოფ. სარაჩლოში (ბორჩალოს მაზრა)

ნიანგი

## მოსწრებული პასუხი

— წელიწადში რამდენი თვეა?

— თორმეტი, მასწავლებელო!

— დამისახელეთ!

— იანვარი, თებერვალი, ოქტომბერი...

— თებერვალს, ოქტომბერი კი არა მარტი მოსდევს!

— ეგ უწინ იყო, მასწავლებელო, ეხლა ბავშვმაც კი იცის, რომ თებერვალს ოქტომბერი მოსდევს.

## კერძო ვაჭართან

მუშტარი.—ეხლა მოგელო ბოლო, შე ჩარჩო, შენა, ხვალიდან შენს გვერდში კოოპერატივს ხსნიან.

ვაჭარი.—შენს პირს შაქარი, შორს სიარული აღარ დამჭირდება საქონლისათვის.

## მსახიობებში

მსახიობი გოგი გაუალერსდა მსახიობ ცაცას და ჰკითხა:

— რატომ ხარ ეგეთი მოხდენილი და ეშხიანიო?.

— მე არ ვხედავ ჩემ თვალებს და შენ თვალებს ჰკითხეო!

—

ერთხელ აქტიორ ი. იმედაშვილს ეკითხებიან:

— რატომ სცენაზე აღარ თამაშობ?

— ფეხები მტკივა.

— ფეხები რას დაგიშლის, შენც თავით იმუშავე.

— შენ გინდა, რომ თავიც ამტკივდეს?

## ქუჩაში

— შორს ნუღარ წავალთ, სახიფათოა!

— რატომ?

— აგერ მილიციონერები მორბიან ჩვენსკენ, ალბათ იქით ჩხუბია.



— თქვენ შეგიძლიათ კამპანიის დაკვრითი წესით ჩატარება?

— როგორ არა, სწორედ ეს არის ჩემი საქმე... დაკვრაში და ჩხუბში პირველი ვარ.



— სად გარბიხარ კაცო, ასე თავქუდ მოგლეჯილი?

— ჩემზე ამბობენ—ჩამორჩენილი კაციაო... ვნახოთ ვინ გამასწრებს წინ.

## უკმაყოფილო

— სოციალიზმის დროს მართლა მოსპობენ ღვინოს და არაყს?

— რასაკვირველია!

— აკი ამბობდენ ყველასათვის ბედნიერება იქნებაო!?!

## ამბულატორიაში

— ამხ. ექიმო, შეიძლება ჩემს ბავშვს ქუნთრუშა სურდოთ გადაუკეთოთ?

— რას ლაპარაკობ, ქალო, როგორ შეიძლება!

— თუ კი იმ დღეს სურდო ქუნთრუშათ გადაუკეთეთ!?!

## დაწესებულებაში

— იძახიან, თქვენი გამგე თანამშრომლებს ისე ეპყრობა, როგორც ღვიძლი მამა შვილებსაო.

— კი, ზოგს, როგორც მამა—შვილებს, ზოგს როგორც ბიძა და ზოგსაც როგორც ნათლია.

## წინდახედული

— ჩვენი დაწესებულება სავსეა ბიუროკრატებით, მაგრამ გამგეზე, ღვთის წინაშე, ვერაფერს ვიტყვი ცუდს.

— კარგია?

— არა, ცუდი რომ ვსთქვა რამე, კრიტიკა გამოვა და ხომ იცი მაგას კიდევ რა მოსდევს.

## „მწიგნობრებში“

„დეზერტირკას“ ავტორი—ქალი აზიანი დაღვრემილი მოდის რუსთაველის პროსპექტზე. შეხვდება მას შიუკაშვილი, ისიც დაღონებული. შიუკაშვილი ჰკითხავს:

— ქალო, რა დაგემართა, რათა ხარ მოწყენილი?

— მაშ რა მაქვს მოსალხენი? აგერ, წელიწადია ჩემი „დეზერტირკა“ უმუშევარია, ლამის არის სისხლი ვარწყიო!..

— მოიცა არ გამსვარო, ძლივს ახალი ტანისამოსი ჩავიცვი,— თახაც ანუგეშა შიუკაშვილმა:

— ერთ ტაფაში ვიწვით. ჩვეც ხომ შენს დღეში ვარ!..

## კრებაზე

— ალბათ კარში ძალიანა წვიმს.

— რატომ გგონია!?

— საათნახევარია კრებაზე ვართ და არც ერთს ფიქრადაც არ მოსვლია გაპარვა.

## „შიში შეიქმს სიყვარულსა“

— ამხ. გამგე, კრებაზე გელოდებიან.

— ჯანდაბას იმათი თავი, მელოდონ. მაინც ვინ არიან?

— ყველანი იქ არიან, დარბაზი გაივსო. ვილაც მუშკორი მოვიდა კიდევ...

— მუშკორი მოვიდა?! მაშ უნდა ავჩქარდე. მოვდივარ, მოვდივარ. ამ წუთას მოვალ.

## თავფქვილაძის ბრძნული აზრები

ყოველ დღე აუარებელი ახალი მოქალაქენი იბადებიან და არც ერთი მათგანი იმისათვის არ იწუხებს თავს, რომ იკითხოს:—მათთვის აშენებულია თუ არა ახალი სახლები.

—

როდესაც გეუბნებიან:—„ხვალ შემოიარეთ“— აუცილებლად შეეკითხეთ, რომელ „ხვალეზე“ ამბობს, თორემ კვირაში შვიდი „ხვალეა“.

—

რბენა, რასაკვირველია, ფიზკულტურაა, მაგრამ ფიზკულტურა აღარ არის ის, როდესაც მოლარე ფულს მოიტაცებს და გაიქცევა,—ეს უკვე გაფლანგვაა.

—

მუშკორი კორესპონდენციისაგან იმით განირჩევა, რომ მის კორესპონდენციას რედაქციაში ამოკლებენ, ხოლო თვით ავტორს—წარმოებაში.

## ჯარიმა

— ათი შაური ჯარიმა უნდა გადაიხადო!— ეუბნება მილიციელი.

— რატომ, რისთვის?

— იმიტომ, რომ ტრამვაიდან ჩამოხტი!

— თუ ასეა, დავეწევი და ისევ შევახტები.



— რატომ გაეყარე პირველ ცოლს?

— იმიტომ, რომ მეორე შევირთე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია. რედაქციის მისამართი— კამოს ქ. № 68.

დიდი პოლიტიკური გაზეთი

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის და სრ. საქართვ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

ორგანო


## ხელისმოწერის პირობები

**მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 თვით | 1 მ. — კ. | 7 თვით | 6 მ. 70 კ. |
| 2 „ | 2 მ. — კ. | 8 „ | 7 მ. 65 კ. |
| 3 „ | 2 მ. 90 კ. | 9 „ | 8 მ. 60 კ. |
| 4 „ | 3 მ. 85 კ. | 10 „ | 9 მ. 55 კ. |
| 5 „ | 4 მ. 80 კ. | 11 „ | 10 მ. 50 კ. |
| 6 „ | 5 მ. 75 კ. | ერთი წლით | 11 მ. 50 კ. |

**დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 თვით | 1 მ. 30 კ. | 7 თვით | 8 მ. 80 კ. |
| 2 „ | 2 მ. 60 კ. | 8 „ | 10 მ. — კ. |
| 3 „ | 3 მ. 80 კ. | 9 „ | 11 მ. 30 კ. |
| 4 „ | 5 მ. — კ. | 10 „ | 12 მ. 60 კ. |
| 5 „ | 6 მ. 25 კ. | 11 „ | 13 მ. 80 კ. |
| 6 „ | 7 მ. 55 კ. | ერთი წლით | 15 მ. — კ. |

### ხელისმოწერა მიიღება

ქუთაისში — „კომუნისტი“-ს განყ.
ოზურგეთში — კონტრაგ. ინწკირველთან
ახალსენაკში — კონტრაგ. ესებუასთან
სამტრედიაში — კონტრაგ. გოგელიასთან
ჭიათურაში — კონტრაგ. ჯალაღანიასთან
ყვირილაში — კონტრაგ. ცხომელიძესთან
ზორავანში — რკინის გზის კიოსკში.
ბორჯომ-პარკში — კონტრაგ. კობახიძესთან

ბორჯომში — კონტრაგ. კობახიძესთან
ფოთში — კონტრაგ. ლორიასთან
ხონში — კონტრაგ. გენძეხაძესთან
თელავში — კონტრაგ. რევაზოვთან
ცხინვალში — კონტრაგ. იარალოვთან
გორში — კონტრაგ. მაისურაძესთან
გურჯაანში — წიგნის მაღაზიაში
სიღნაღში — კონტრაგ. მდივანოვთან

აბაშაში — კონტრაგ. მიქაძესთან
ლანჩხუთში — კონტრაგ. ღლონტთან
ბათომში — ფ/ტ. კანტორაში
ხაშურში — კონტრაგ. ლორთქიფანიძესთან
ბაღდადში — კონტრაგ. აბულაძესთან
ონში — კონტრაგ. ბერიშვილთან
ჭრებალოში — კონტრაგ. პაიჭაძესთან

**ხელისმოწერა მიიღება** ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებში, რკინისგზის კიოსკებში, „კომუნისტი“-ს გამომცემლობის კონტრაგენტებთან და **გამომცემლობის მთავარ კანტორაში**

რუსთველის პრ. № 34.

## ჟურნალი დროშა

„კომუნისტი“-ს გამომცემლობა 1929 წლიდან შეუდგა

### დასურათებული ორკვირეული ჟურნალის გამოცემას

მიიღება ხელისმოწერა 3 თვით და ნახევარი წლით. 3 თვით ჟურნალი ეღირება 85 კ. ნახევარი წლით 1 მ. 70 კ. ცალკე №-ი 15 კაპ.

**გამომცემლობა იტოვებს უფლებას შესცვალოს „დროშა“-ზე ხელისმოწერის პირობები, როდესაც ჟურნალი ყოველ კვირეულად გამოვა**

**„კომუნისტი“-ს გამომცემლობის მთავარი კანტორა**

თბილისი — რუსთველის პრ. 34

---

საქ. პროფკავშირების კოოპ. გამომცემლობა

## „შრომა“

**გამომცემლობის საწყობი**

**თბილისი, რუსთველის პრ.**

მუშათა სასახლე № 17

### გამოვიდა და იყიდება

1) განადგურება—ა. **ფადეევისა**—ფასი 1 მ. 20 კ.
2) რჩეული ლექსები—გ. **ქუჩიშვილის**—1 მ. და 20 კაპ.
3) მუშათა მოძრაობა კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში—**კუუსინენის**—ფ. 40 კ.
4) ქალის შრომა კაპიტალისტურ ქვეყნებში—**შტრესელის** ფ. 40 კ.
5) პირველი ქარტეხილი—პ. **სამსონიძის**—ფ. 40 კ.
6) სიტყვიერების თეორია—ვ. **ბოკერიასი**—ფ. 50 კ.
7) მოჯამაგირე და მოჯამაგირე ქალის შრომა სოფლის მეურნეობაში—ფ. 40 კ.
8) ლადო ალექსი-მესხიშვილი — ვ. **ალექსი-მესხიშვილისა**—ფ. 40 კ.

მთავლიტი № 249. ტირაჟი 3000. პ/ტ მე-5-ე სტამბა. გაზ. „კომუნისტის“-ს გამომცემლობა.